# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ხელის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი, 22 დეკემბერი. 2018 წ. №260-261 (8661-8662) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## ქვეყანა დავასვენოთ, ჩვენც ამოვისუნთქოთ და ფსიქოზისგან განვიკურნოთ!



2019 წელი და არჩევნები 4

## ლაშა ტალახაძე, გილოცავთ!



წლის საუკეთესო ქართველ სპორტსმენად ძალოსანი ლაშა ტალახაძე დასახელდა.

თბილისის „ივენთ ჰოლში“ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წლის შემაჯამებელი სხდომა და დაჯილდოების ცერემონია გუშინ გაიმართა, რომელზეც სპორტსმენები რამდენიმე ნომინაციაში დააჯილდოვეს. ლაშა ტალახაძე წლეულს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

გვიმრავლოს! მრავალ ახალ წელს, ლაშა!

## საფრანგეთმა ყალბი ახალი ამბების წინააღმდეგ კანონი მიიღო

**საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში ყალბი ამბების გამოყენების წინააღმდეგაა მიმართული და მისი გავრცელების დაუყოვნებლივ შეჩერებას ითვალისწინებს.**

აღნიშნული კანონპროექტი საფრანგეთის პარლამენტს პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა წარუდგინა. მისი თქმით, მას ღრმად სწამს, რომ ინტერნეტის რეგულირება აუცილებელია. კანონის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ აღნიშნული რეგულაცია საფრთხეს უქმნის დემოკრატიას და შესაძლოა, მისი საშუალებით მედიაზე ცენზურა დაწესდეს. დასავლეთ ევროპაში ეს არის პირველი მცდელობა იმისა, რომ ოფიციალურად მოხდეს ყალბი ამბების აკრძალვა.

**კანონის ამოქმედებიდან, არჩევნებამდე სამი თვის განმავლობაში, კანდიდატებს და პოლიტიკურ პარტიებს შეეძლებათ, მიმართონ სასამართლოს ყალბი ინფორმაციის შეჩერებისკენ. პირს, რომელიც კანონს დაარღვევს, შესაძლოა, ერთი წლით თავისუფლება აღეკვეთოს ან ჯარიმის სახით 75 000 ევრო დაეკისროს.**

## რას დაგვპირდა ახალი პრეზიდენტი და... ხომ არ დავრჩებით იმედგაცრუებულნი?!



დავრწმუნდეთ საკუთარ თავში და ავიღოთ პასუხისმგებლობა მომავალზე! 3

## „ბოროტების იმპერია“ 1991 წლის 21 დეკემბერს გაუქმდა



21 დეკემბერი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის დღეა. 27 წლის წინ, 1991 წლის 21 დეკემბერს, ალმათის დეკლარაციით, საბჭოთა კავშირი გაუქმდა. საბოლოოდ კი, ფორმალურად, სსრკ 26 დეკემბერს, უზენაესი საბჭოს სხდომაზე დაიშალა. ყაზახეთის დედაქალაქ ალმათში ახალი სახელით გაფორმდა რუსეთის იმპერია: სსრ კავშირის მემკვიდრე გახდა ე. წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომლის შემადგენლობაში არ შევიდნენ ბალტიისპირეთის სახელმწიფოები და საქართველო.

მანამდე, 1991 წლის 8 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკების ლიდერები, რომლებიც გაეროს დამფუძნებელი წევრები იყვნენ, ანუ რუსეთის, ბელორუსიისა და უკრაინის — შეიკრიბნენ ბელორუსში, ბელოვეჟში და ხელი მოაწერეს „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ)“ შექმნის ხელშეკრულებას. დსთ-ის შემადგენლობაში ამჟამად შედიან რუსეთი, ბელორუსი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი. ასოცირებული წევრია თურქმენეთი. საქართველო დსთ-დან 2009 წლის 18 აგვისტოს ოფიციალურად გამოვიდა. საბჭოთა კავშირი 1922 წლის 30 დეკემბერს დაარსდა.

## „თვით თალიბები ვერ რისკავენ ამ სოფლებში შესვლას“ 8



ფოლადისებრი ურთიერთობა 5



## მეცნიერება ქმნის ქვეყნის პრესტიჟს

ჯვირხაძის საკითხავი

## სურათზე გადარჩენილი წამი 6



## მაღალმა ხელფასებმა არ მოგადუნოთ, პოლიციელებო!

**...ჩვენ გარკვეულწილად მოვახერხეთ მათი სახელფასო ანაზღაურების ზრდა 2018 წელს, ასევე მინდა გითხრათ, რომ ეს პროცესი გაგრძელდება 2019 წლისთვისაც,** — ამის შესახებ შს მინისტრმა გიორგი გახარიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გუშინ განაცხადა.

**„ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიციელების და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების სოციალური უზრუნველყოფა, ჩვენ გარკვეულწილად მოვახერხეთ მათი სახელფასო ანაზღაურების ზრდა, თუმცა ეს არ არის მხოლოდ და მხოლოდ ის სოციალური პორტფელი, რომელსაც ეს ადამიანები იმსახურებენ. მე ვფიქრობ რომ აქ იქნება სოციალური უზრუნველყოფის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კომპონენტები ბინათმშენებლობიდან დაწყებული, სამედიცინო მომსახურებით დამთავრებული, განათლებით გაგრძელებული და ასე შემდეგ. ამ მიმართულებით, რესურსულად შინაგან საქმეთა სამინისტრო იქნება სრულად მობილიზებული, რამეთუ ამ ადამიანებს აბსოლუტურად სწორი და პროგნოზირებადი წარმოდგენა ქონდეთ თავიანთ მომავალზე გრძელვადიან პერსპექტივაში განსაკუთრებით იმ ახალგაზრდებს, რომლებიც სისტემაში იწყებენ მუშაობას“,** — განაცხადა გახარიამ.

## საქართველოს სასაზღვრო პოლიცია 2019 წლიდან ნატოს წვრთნებში მიიღებს მონაწილეობას!

**დარწმუნებულები ვართ, რომ 2019 წლიდან საქართველოს სასაზღვრო პოლიცია ნატოს ფორმატში გამართულ წვრთნებში მიიღებს მონაწილეობას,** — ამის შესახებ შს მინისტრმა გიორგი გახარიამ პარლამენტში განაცხადა.

**„ჩვენი მიმართულების შემდეგი ეტაპია საზღვრის დაცვა, სასაზღვრო პოლიცია. აქ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ინტეგრირებული საზღვრის მართვა უდიდესი გამოწვევაა ქვეყნისთვის. აქ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების სერიოზული დახმარება გვაქვს. ვიმედოვნებთ, რომ ეს დახმარება გაგრძელდება. მოგეხსენებათ, აქ გაჩნდა ახალი მიმართულება და ახალი სფერო — სანაპირო დაცვის კომპონენტი. დღეის მდგომარეობით, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის მიერ გადმოგვეცა ორი „აილენდის“ მარკის გემი. ეს ის საშუალებაა, რომელიც შსს-ს აძლევს შესაძლებლობას, შევიდეს შავი ზღვის ფარგლებში უსაფრთხოების ახალ ფორმატებში და ნატოსთან თანამშრომლობის ახალი მიმართულება გახსნას. ეს აქამდე შსს-სთვის და ქვეყნისთვის არ არსებობდა. იმ გადამზადების ფორმატებით, რომელიც სასაზღვრო პოლიციას გააჩნია, დარწმუნებულები ვართ, რომ 2019 წლიდან საქართველოს სასაზღვრო პოლიცია მიიღებს ნატო-ს ფორმატში გამართულ წვრთნებში მონაწილეობას“...**

## მხოლოდ ევროპაში წლეულს დაკავებულია „ქურდული სამყაროს“ 14 წარმომადგენელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორიტეტი ევროპაში არის საკმაოდ მაღალი, წელს ქართველი და ევროპელი სამართლდამცველების თანამშრომლობის შედეგად დაკავებულია „ქურდული სამყაროს“ 14 წარმომადგენელი.

**„საერთაშორისო თანამშრომლობის ნაწილში მინდა მოგახსენოთ, რომ სხვადასხვა კომპონენტები, რომლებიც გაბნეული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფებში შევქმენით საერთშორისო თანამშრომლობის ცენტრი, რომელიც შეიქმნა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ფარგლებში. აქ დღეის მდგომარეობით გაერთიანებულია ინტერპოლი, ევროპოლი, ატაშეების ინსტიტუტი და კიდევ ბევრი საერთაშორისო კომპონენტი და ამ ნაწილში მინდა, გითხრათ, რომ შედეგები არის საკმაოდ მაღალი.**

**დღეს ავტორიტეტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსი არის საკმაოდ მაღალი, განსაკუთრებით ევროპულ ქვეყნებში. ევროპულ ქვეყნებში ჩვენი ატაშეები არიან აქტიურად წარმოდგენილი, მათ სერიოზული წვლილი მიუძღვით ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში. მინდა მოგახსენოთ, რომ ამ საერთაშორისო ოპერაციების შედეგად მხოლოდ ევროპაში დაკავებულია „ქურდული სამყაროს“ 14 წარმომადგენელი. ეს სტატუსის მატარებელ ხალხზეა საუბარი“,** — განაცხადა მინისტრმა.

## შსს-ს მიერ ინიცირებული იყო 9 კანონპროექტი, რომლებიც თავიდან დაიწერა!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ინიცირებული იყო 9 კანონპროექტი, მათ შორის „ქურდული სამყაროს“ და „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ, რომელიც ფაქტობრივად, თავიდან დაიწერა, გამკაცრდა ცრუ ჩვენების, ჩვენებაზე უარის თქმის, დანაშაულის დაფარვისა და შეუტყობინებლობის ნაწილი.** ასევე, მისივე თქმით, გამკაცრდა და ცვლილებები განხორციელდა ოჯახში ძალადობის კონტექსტში.

## ქალთა მკვლელობების მაჩვენებელი ძალიან შემცირდა

**ამის შესახებ შს მინისტრმა გიორგი გახარიამ პარლამენტში განაცხადა.** მისი თქმით, 2018 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა არც ერთი შემთხვევა, როდესაც ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისგან რეაგირება არ ყოფილა.

**„მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შესახებ, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა. დღეის მდგომარეობით, ჩვენ გარკვეული მიღწევები უკვე გვაქვს, რომელიც ძირითადად, ეხება ყველა სახის დისკრიმინაციის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის, სენსიტიური დანაშაულების გამოვლენას. ამ მიმართულებით შემიძლია გითხრათ, რომ კრიტიკულად შემცირდა ქალთა მკვლელობების მაჩვენებელი და 2018 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა არც ერთი შემთხვევა, როდესაც ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისგან რეაგირება არ ყოფილა. მსგავს დანაშაულებში დისკრიმინაციის მოტივის გამოვლენა ორჯერ გაიზარდა, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია და ხარისხს ზრდის“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ, რომელმაც აქვე აღნიშნა, რომ 2019 წლის განმავლობაში ამუშავდება მექანიზმები, რომლებიც პრევენციისა და რისკის გაზომვის საშუალებას იძლევა.

# მხოლოდ მთავარზე



## როდესაც ბავშვი 14 წლამდე ჩადის დანაშაულს, რა რეაქცია უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს?!

**სისტემა, როდესაც ბავშვი 14 წლამდე ჩადის დანაშაულს, რა რეაქცია უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს ამ ბავშვთან მიმართებაში — დღეს არ მუშაობს,** — ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ პარლამენტში განაცხადა.

მისი თქმით, შესაქმნელია ჯგუფი, რომელიც ამით სერიოზულად დაკავდება.

**„არასრულწლოვანთა დანაშაული ეს სერიოზული პრობლემაა. მოგეხსენებათ, რომ იყო სერიოზული ცვლილებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მიღებული, რაც, რა თქმა უნდა, იყო პროგრესული ნაბიჯი. თუმცა, მას შემდგომ სჭირდება მენეჯმენტი, ხარისხიანი მენეჯმენტი და აქ გარკვეული პრობლემები გვქონდა. დღეის მდგომარეობით, მე ვფიქრობ რომ უახლოეს პერიოდში საქართველოს პარლამენტს, იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, განათლების სამინისტროსთან ერთად მოგვიწევს კიდევ ერთხელ დაჯდომა და განსაკუთრებით იმ ახალგაზრდების, რომლებიც არიან 14 წლამდე, მათ მიმართ გარკვეული სისტემური ცვლილებების მომზადება.**

**დღეს ჩვენ ქვეყანაში, ფაქტობრივად არ გვაქვს რეფერირების სისტემა და ფაქტობრივად ბავშვები, რომლებიც 14 წლამდე ჩადიან დანაშაულს, ისინი საერთოდ ყოველგვარი ყურადღების გარეშე არიან სახელმწიფოს მხრიდან. ფაქტობრივად სისტემა, როდესაც ბავშვი 14 წლამდე ჩადის დანაშაულს, რა რეაქცია უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს ამ ბავშვთან მიმართებაში დღეს არ მუშაობს. ამიტომ, მე ვფიქრობ რომ ეს შესაქმნელია ჯგუფი, რომელიც ამაზე სერიოზულად დაკავდება. ჩვენ გვაქვს გარკვეული მოსაზრებები, მუშაობა გარკვეულ წილად დაწყებულია იუსტიციის სამინისტროსთან ერთად და მე ვფიქრობ, რომ უახლოეს პერიოდში გვექნება გარკვეული შედეგებიც“.**

## მეტი სიმკაცრის გარანტიას გაძლევთ!

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ, დეპუტატების კითხვებს უპასუხებს. მცირე კამათი ენმ-ს წევრ თინა ბოკუჩავასა და შს მინისტრს შორის, თელავში, ინაუგურაციის დღეს მომხდარ ინციდენტებს მოჰყვა.**

გიორგი გახარიამ დავით კირკიტაძის დაკავებაზე ისაუბრა და თქვა, რომ დაისჯება ნებისმიერი, ვინც პოლიციელზე ზეწოლას განახორციელებს. შს მინისტრი ამბობს, რომ უწყების რეაგირება მსგავს ფაქტებზე „შემდეგში იქნება უფრო მკაცრი“.

## წერილების გაგზავნა ჩვენც კარგად ვიცით საერთაშორისო ორგანიზაციებში!..

**წერილების გაგზავნა ჩვენც კარგად ვიცით. ჩვენც კარგად გავგზავნით საერთაშორისო ორგანიზაციებში წერილებს, რომელიც დაადასტურებს თუ სად, როგორ, რატომ ჩაიდინა არჩევნებთან დაკავშირებით დანაშაული, ვინ იყო დასჯილი და ვინ არა,** — ამის შესახებ პარლამენტში შს მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა.

**„ჩვენც კარგად გვესმის საერთაშორისო დონეზე როდის, სად, რა განხილვები დაიწყება ჩვენს არჩევნებთან დაკავშირებით. გარწმუნებთ, რომ ამ პერიოდამდე, ყველა ის მასალა და ყველა ის საქმე, რომლის დასრულებაც შესაძლებელი იქნება, დასრულდება“!..**

მისივე თქმით, არჩევნებთან დაკავშირებით სისხლის სამართლებრივი დევნა არის დაწყებული 26 პირზე, რომელთა დიდი ნაწილი არის მმართველი პარტიის წარმომადგენელი.

**„მესმის ყველაფერი, როდესაც ვსაუბრობთ საარჩევნო პროცესში ინციდენტების შესახებ, თუმცა, ასევე უნდა გავითვალისწინოთ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების კომპეტენცია. სრულად ვაგებ პასუხს იმ ნაწილზე, რომელიც შს სამინისტროს კომპეტენციას შეეხება. ძალადობრივი დანაშაულები და ქმედებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საარჩევნო პერიოდში, ყველა შემთხვევაზე შს სამინისტროს მიერ დაწყებული იყო გამოძიება, მათ შორის ახალქალაქის შემთხვევაზეც. სისხლის სამართლებრივი დევნა არის დაწყებული 26 პირზე. სამწუხაროდ, დიდი ნაწილი ამ ხალხის არის მმართველი პარტიის წარმომადგენელი“,** — განაცხადა გახარიამ.

## თუ უკვე არ არის აღძრული საქმე, უახლოეს დღეებში აღიძვრება!

**უკვე თუ არ არის აღძრული საქმე, უახლოეს დღეებში საქმე აღიძვრება და გამოძიება დაიწყება,** — ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ გავრცელებული ვიდეო-კადრებთან დაკავშირებით განაცხადა, რომელიც არჩევნების დროს კომისიის წევრების მიერ ბიულეტენების ყუთში ჩაგდებას ეხებოდა. კითხვაზე, დაიწყო თუ არა გამოძიება, მინისტრმა უპასუხა, რომ ამ საკითხზე ცესკომ მიმართა პროკურატურას და ის დარწმუნებულია, რომ ის გამოძიებას უახლოეს მომავალში დაიწყებს.

## ვინ არის დავით სარალიძის მკვლელი?

**ბატონი ზაზა სარალიძე გვესწრება დღეს პარლამენტში და შესაბამისად, გთხოვთ გვიპასუხოთ, როგორც პარლამენტის წევრებს, ასევე ბატონ ზაზას, რა გამოიკვეთა დამატებითი გამოძიების ფარგლებში ამ მიმართულებით და შეგიძლიათ თუ არა გვითხრათ, ვინ არის დავით სარალიძის მკვლელი? —** ამ კითხვით მიმართა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ანრი ოხანაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას პარლამენტში სიტყვით გამოსვლის შემდეგ.

ოხანაშვილის განცხადებით, ხორავას ქუჩის საქმესთან დაკავშირებით ჩნდება კითხვები, ხომ არ ჰქონდა ადგილი შესაბამის მოხელეთა მხრიდან რაიმე სახის კანონდარღვევას, კერძოდ, ვინმესთვის ხომ არ მოხდა ხელის დაფარება.

**„საგამოძიებო კომისიის ფარგლებში ჩვენ დავადგინეთ, რომ არსებობდა ამ საქმის ირგვლივ მთელი რიგი ხარვეზები. ჩვენ დავადგინეთ, რომ არ ჩატარდა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები ან ჩატარდა დაგვიანებით. აქედან გამომდინარე გაჩნდა კითხვები, ხომ არ ჰქონდა ადგილი შესაბამის მოხელეთა მხრიდან რაიმე სახის კანონდარღვევას, კერძოდ, ვინმესთვის ხომ არ მოხდა ხელის დაფარება. აქედან გამომდინარე, ბატონო გიორგი მინდა გკითხოთ, შეისწავლა თუ არა აღნიშნული საკითხი შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ და მეორე — პარლამენტის დადგენილებით გაცემული რეკომენდაციებიდან გამომდინარე, არსებობს საფუძველი დაიწყოს გამოძიება კონკრეტულ მოხელეთა მიმართ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე და რატომ არ იწყება გამოძიება ამ საკითხთან დაკავშირებით?**

**მეორე, მსურს, შევეხო კონკრეტულ ეპიზოდს, დავით სარალიძის მკვლელობის ეპიზოდს, ვინაიდან ეს არის საკითხი, რომელზეც საზოგადოებამ ჯერ კიდევ ვერ მიიღო პასუხი, თუ ვინ მოკლა დავით სარალიძე. ბატონი ზაზა გვესწრება დღეს პარლამენტში და შესაბამისად, გთხოვთ, გვიპასუხოთ, როგორც პარლამენტის წევრებს, ასევე ბატონ ზაზას, რა გამოიკვეთა დამატებითი გამოძიების ფარგლებში ამ მიმართულებით და შეგიძლიათ თუ არა გვითხრათ, ვინ არის დავით სარალიძის მკვლელი?“,** — განაცხადა ოხანაშვილმა.



# დავრწმუნდეთ საკუთარ თავში და ავიღოთ პასუხისმგებლობა მომავალზე!

## რას დაგვპირდა ახალი პრეზიდენტი და... ხომ არ დავრჩებით იმედგაცრუებულნი?!

**შეიძლება ყველაფერი აკრიტიკო, თუ თავს ამის უფლებას მისცემ, მაგრამ, ამ შემთხვევაში კრიტიკული განწყობა განზე უნდა გადავდო და მხოლოდ კეთილი რეკომენდაციებითა და შეფასებებით შემოვიფარგლო.**

საკამათო არ არის, რომ ინაუგურაცია საკმაოდ მოკრძალებული და კარგად ორგანიზებული იყო. ერთი შეხედვით საკმაოდ მიზანმიმართული და შთამბეჭდავი იყო ახლად არჩეული პრეზიდენტის სიტყვაც. არა აქვს მნიშვნელობა, მან დაწერა ის თუ სხვა ვიღაცამ უკარნახა! ყოველ შემთხვევაში, მისი მიმართვის ტექსტი იყო მოზომილი, ამასთან, სახელმწიფოს ახლადარჩეული უუფლებო მეთაურისგან გაგზავნილი მესიჯი საქართველოს მოსახლეობისა და მსოფლიოსადმი.

**პირველი და უმთავრესი: ასეთი გზავნილები პრეზიდენტობის კანდიდატს წინასაარჩევნო ბატალიების დროს რომ გაეგზავნა ამომრჩევლისთვის, დარწმუნებული ვარ, შეურაცხყოფების ნიაღვარს თავიდან აიცილებდა და პირველსავე ტურშიც გაიმარჯვებდა.**

**მეორეც, მისი საინაუგურაციო სიტყვა უმთავრესად აგებული იყო ემოციებზე, რადგან, საქართველოს ახალი კონსტიტუციით, ახლად არჩეულ პრეზიდენტს არა აქვს ის უფლებები, რომელიც (რომც მოინდომოს), საკუთარ საინაუგურაციო სიტყვაში ჩამოყალიბებულ ინიციატივებს აღასრულებინებს!**

არ მინდა, კრიტიკაში ჩამეთვალოს, მაგრამ ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ყველაზე მეტად ჯეროვნად ვერ შეაფასა რუსეთის როლი ოკუპირებული ტერიტორიებისადმი დამოკიდებულებაში — მას ერთხელაც არ დასცდენია, რომ აუცილებელია იმპერიული სულისკვეთების რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება, ურომლისოდაც საქართველოს გამთლიანება-გაერთიანება წარმოუდგენელია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ანტირუსული ისტერია აპოგეას აღწევს, ამის უარყოფა რბილად რომ ვთქვათ, პოლიტიკური სიბეცე იქნება!

ვეთანხმები ქალბატონ სალომეს, რომ ეროვნული თანხმობა არსებითად მნიშვნელოვანია საქართველოს განვითარებისა და გამთლიანებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, მას არაფერი უთქვამს, **თუ როგორ მივაღწიოთ ეროვნულ თანხმობას გაქანებული კოჰაბიტაციის პირობებში, როცა დესტრუქციული ძალა „ნაციონალური მოძრაობის“ სახით მუდმივი მოჩვენებითი ქაოსისა და აგრესიის (დესტაბილიზაციის) რეჟიმში ამყოფებს ქვეყანას, ხოლო, ხელისუფლება, ჯერჯერობით, მხოლოდ „მოთმინების“ ვალდებულებით იფარგლება?!**

ვინაიდან და რადგანაც, ქალბატონი სალომე საქართველოს რიგით მეხუთე — პირველი ქალი პრეზიდენტია, არ შევუდგები იმის განხილვას, თუ რა პირობებში გაპრეზიდენტდა იგი, მაგრამ, რაც არ უნდა მოკრძალებული მადლობით შემოიფარგლოს **„ქართული ოცნების“** მიმართ და ხელისუფლების მხარდაჭერა „დემოკრატიული ნაბიჯის“ გადადგმად შეფუთოს, იგი ადამიანურად მაინც დავალებულია დღევანდელი ხელისუფლებისგან, თუნდაც ფორმალური მხარდაჭერის გამო — სხვა ფაქტია, როგორ გააპრეზიდენტა ხალხმა ქალბატონი სალომე „ნაციონალების“ ჯიბრზე!

**„მე ვიქნები ყველას პრეზიდენტი — მე დავიცავ მოქალაქის უფლებებს და თავისუფლებებს, ვიქნები კანონის უზენაესობის გარანტი“** — რა თქმა უნდა, ეს სასიამოვნოდ მოსასმენი სიტყვებია, მაგრამ, არარეალური — დღევანდელი პრეზიდენტი ვერა და ვერ იქნება კანონის უზენაესობის გარანტი, რადგან მისი კომპეტენცია და უფლებები საშინაო ურთიერთობებში ძალიან შეზღუდულია.

ქ-ნი სალომე საკუთარ მიმართვაში მოგვიწოდებს, რომ „ევროპული მომავალი“ უნდა გახდეს შეუქცევადი, რომ ასოცირების ხელშეკრულებამ და უვიზო რეჟიმმა ხელ-ფეხი გაგვიხსნა ევროპასთან ურთიერთობის გამარტივების თვალსაზრისით, თუმცა, არაფერი უთქვამს, თუ როგორ შეუწყო ხელი იგივე უვიზო რეჟიმმა საქართველოს ქართველებისგან დაცლას და ათეულ ათასობით მოქალაქის ლუკმაპურის საშოვნელად ევროპაში გადახვეწას.

**ასევე, კარგია მოსასმენად ახლად არჩეული პრეზიდენტისგან „შეუფერხებელი სვლის“ გამართლება ევროკავშირისკენ და ნატოსკენ, მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ თანამედროვე ევროკავშირი ნამდვილად არ არის ის პოლიტიკური გაერთიანება, რისკენაც უნდა ილტვოდეს საქართველო, მით უმეტეს, თვით სტაჟიანი სახელმწიფოები კარგა ხანია, უარს აცხადებენ ევროკავშირის ოჯახის წევრობაზე. მეტიც, რასაც დღეს ევროპულ ღირებულებად ასაღებენ და თავს გვახვევენ, ის აშკარად საფრთხეს უქმნის ქართულ იდენტობას!**

მე შინაგანად არ ვარ ევროპულ ოჯახში გაწევრიანების წინააღმდეგი (მაგრამ, ვინ მიგიღებს), მაგრამ, როგორ უნდა შევიდეთ საკუთარი „ღირებულებებით, იდენტობითა და კულტურით“, როცა იგივე ღირებულებებს, იდენტობასა და კულტურას ევრო-ამერიკიდან მიღებული ინსტრუქციებით თავად ვანადგურებთ?!

ვეთანხმები ქ-ნ პრეზიდენტს, რომ ქართულ ცივილიზაციას **„თამამად შეუძლია დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიოში“, მაგრამ, როგორღა დაიმკვიდრებს, თუ უარს ვიტყვით ყოველგვარ ეროვნულზე, თვითმყოფადზე და ფსევდოღირებულებებს დავუთმობთ ასპარეზს???**

მე არ ვაპირებ იმის განქიქებას, თვითონ დაწერა ქ-ნმა სალომემ საინაუგურაციო გამოსვლის ტექსტი, თუ ვინმე დაეხმარა, მაგრამ შთაბეჭდილება მრჩება, რომ მისი სიტყვები (ინიციატივები) უფრო საზოგადოების ემოციაზე იყო გათვლილი!

**ჩემთვის, როგორც რიგითი ქართველისთვის, ახლად არჩეული პრეზიდენტის ტერიტორიული პრობლემებისადმი ასეთი „ლაითი“ დამოკიდებულება, მთლად მოსაწონი ვერ იქნება. მით უმეტეს, არასწორია, ამ სასიცოცხლო პრობლემის ევრო-ამერიკაზე აკიდება და იმის ცრუ მოლოდინი, რომ ევროკავშირი და ნატო დაგვიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს — ეს დღემდე არ მომხდარა და, ალბათ, არც მომავალში მოხდება!**

ისე, რამდენი ხანია, ნატოს კარი სანახევროდ „ღიაა“ საქართველოსთვის, მაგრამ მეორე ნახევრის გაღება რომ ვერ ხერხდება, ესეც ფაქტია! რაც შეეხება ევროკავშირს, ვიდრე ჩვენ მანდ მიგვიღებენ, ან დაიშლება, როგორც მარგინალიზებული საერთაშორისო სტრუქტურა, ან ე.წ. „ევროღავალებებით“ იმდენს გაგვაკეთებინებენ, ჩვენგან, როგორც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე სახელმწიფო, არაფერი დარჩება!

ვეთანხმები ქალბატონ პრეზიდენტს, რომ **ქვეყანას დამშვიდება და განვითარება სჭირდება, ვეთანხმები იმაშიც, რომ ჩვენ ამისთვის გვაქვს ადამიანური რესურსი და ეკონომიკური პოტენციალიც, გვყავს შესანიშნავი, ნიჭიერი თაობაც, ამასთან, უნდა დავრწმუნდეთ საკუთარ თავში და ავიღოთ პასუხისმგებლობა მომავალზე,** მაგრამ, ეს მხოლოდ ლამაზი (ლიტონი) სიტყვებია, რომლის უკან უფლებაშეკვეცილი (უუფლებო) პრეზიდენტი დგას!

ერთი სიტყვით, ქალბატონ **სალომე ზურაბიშვილის** ინაუგურაციას ჭეშმარიტად ჰქონდა თავისებური ხიბლი, რაც უპირველესად არაპომპეზურობაში გამოიხატა. ამასთან, თუ არ ჩავთვლით მის მინიმუმამდე შეკვეცილ უფლებებს, არც საინაუგურაციო სიტყვა იყო დასაწუნი, მაგრამ, ერთი რამ ფაქტია: **რაც არ უნდა მოინდომოს, მისი ცდა (განსაკუთრებით საშინაო ურთიერთობებში) კეთილ სურვილებს ვერ გასცდება — ვერც კანონის უზენაესობის გარანტი გახდება და ვერც კოჰაბიტაციას დაუსვამს წერტილს, თუნდაც ივანიშვილის „ქართულ ოცნებას“ გაუსხლტეს ხელიდან და დამოუკიდებელი თამაში წამოიწყოს.**



**ზაურ ნაჭყებია,**
პუბლიცისტი

# სალომე ზურაბიშვილი ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოძიებას ითხოვს

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი პარლამენტს მიმართავს, გაითვალისწინოს თხოვნა, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების ხანდაზმულობის ვადა გაგრძელდეს.

**„როგორც საქართველოს პრეზიდენტმა, არ შეიძლება, არ გავიზიარო ზვიად გამსახურდიას ოჯახის წუხილი და მოთხოვნა, გაგრძელდეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების ხანდაზმულობის ვადა. ვიცი, რომ ამისათვის საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ღონისძიებების გატარება, ეს კი პრეზიდენტის კომპეტენცია არ არის.**

**მივმართავ საკანონმდებლო ორგანოს, შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნას ჩემი და ზვიად გამსახურდიას ოჯახის წევრების თხოვნა ამ საკითხთან დაკავშირებით“,** — ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაში. ცნობისთვის, ზვიად გამსახურდიას საქმეზე გამოძიებას ხანდაზმულობის ვადა 31 დეკემბერს ეწურება.

* * *

**პრეზიდენტის ინიციატივას მხარს ვუჭერ და შესაძლებელია, სამართლებრივი გზით ხანდაზმულობის ვადა ხუთი წლით გავზარდოთ, რითაც შესაძლებელი იქნება, რომ გამოძიება არ შეწყდეს,** — ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის მიმართვასთან დაკავშირებით განაცხადა. ბესელიას განმარტებით, ეს სამართლებრივი გზა არსებობს „სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილებებით.

**„ვისურვებ, რომ ზვიად გამსახურდიას შვილები ჯანმრთელობას გაუფრთხილდნენ. გუშინ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ცოტნეს ვესაუბრე. პრეზიდენტის მომართვას ვეხმაურები. ვფიქრობ, მისი მხრიდან სწორი აქცენტი იყო, რომ საკანონმდებლო კუთხით თუ შესაძლებლობა არსებობს, პარლამენტმა გამოიყენოს. მის ინიციატივას მხარს ვუჭერ და შესაძლებელია, სამართლებრივი გზით ხანდაზმულობის ვადა ხუთი წლით გავზარდოთ, რითაც შესაძლებელი იქნება, რომ გამოძიება არ შეწყდეს.**

**ეს სამართლებრივი გზა არსებობს „სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილებებით. მზად ვარ, ამაზე მუშაობა დავიწყო და შემდეგი კვირისთვის ინიცირება შესაძლებელი იქნება. დაჩქარებული წესით იქნებ განვიხილო, კოლეგებს დაველაპარაკები“,** — განაცხადა ეკა ბესელიამ.

# პრეზიდენტს დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდა

**საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდა. საკითხს დეპუტატებმა რიგგარეშე სხდომაზე უყარეს კენჭი.**

დღეიდან პრეზიდენტს დეპუტატის იმუნიტეტი აღარ ექნება. სალომე ზურაბიშვილი დამოუკიდებელი დეპუტატი და დიასპორის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო.

მისთვის მანდატის შეჩერების გამო მე-9 მოწვევის პარლამენტში შუალედური არჩევნები უნდა ჩატარდეს.

# პირველი აქცია ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან

**„ქალთა მოძრაობა“ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის წინააღმდეგ — არასამთავრობოები აქციისთვის ემზადებიან. აქცია პრეზიდენტის ათონელის რეზიდენციასთან, შაბათს გაიმართება.** დიმიტრი გაბუნიას „ქალთა მოძრაობა“ მისი გამონათქვამების გამო უპირისპირდება. მათი განცხადებით, გაბუნიამ სექსუალური შევიწროება ნორმად ჩათვალა.

**„სექსუალურ შევიწროებაზე უკვე გადის წითელი ხაზები, რომელსაც არავინ არ უნდა გადააბიჯოს და ჩვენ მოვუწოდებთ პრეზიდენტს, რომ გადმოვიდეს ქალების მხარეს, რომ მისთვისაც წითელი ხაზი გახდეს სექსუალური შევიწროების ნორმალიზება, რასაც დიმიტრი გაბუნია აკეთებდა და ჩვენ გვინდა, რომ ქალი პრეზიდენტი ნამდვილად იყოს ქალების მხარეს ყველა იმ პოლიტიკურად და მოქალაქეობრივად მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელიც პირდაპირ ეხება ქალთა უფლებებს“,** — ამბობს „ქალთა მოძრაობის“ დამფუძნებელი ბაია პატარაია.

# ქვეყანა დავასვენოთ, ჩვენც ამოვისუნთქოთ და ფსიქოზისგან განვიკურნოთ!




**ვინც ძალაუფლებისკენ არ მიისწრაფვის და ვისაც ოდნავ მაინც აღელვებს ამ ქვეყნის ბედი, ყველა შიშით შეჰყურებს 2019 წელს.**

**ამ ახალ წლებს გადავაგორებთ და... კარგი არაფერი გველოდება წინ.**

**დაიწყება გაუთავებელი მიტინგები, მსვლელობები, აქციები, კარვები, მივარდნები, შევარდნები, გამოვარდნები, გამძვინვარდებიან სალაყბოები, ცეცხლზე ბენზინს დაასხამენ, იქნება ლანძღვაგინება, გაწევ-გამოწევა, ბღლარძუნი, ჩხუბი.**

**წლეულს ხომ იყო ეს ყველაფერი, გაისად იქნება, რაც იქნება!**

გაისად ოპოზიციური პარტიები საარჩევნო კანონის შეცვლას, საკონსტიტუციო ცვლილებასა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს მოითხოვენ. ამ მიზნის მისაღწევად ყველაფერს იზამენ, ქვეყანას დააქცევენ, ოღონდ თავისას მიაღწიონ. თან იფიცებიან, მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციის ფარგლებში ვიმოქმედებთო.

პარადოქსია, კონსტიტუციის შეცვლას მოითხოვენ და არც დარღვევაზე დაიხევენ უკან, ოღონდ, კონსტიტუციის ფარგლებში!

800 ათასი ვართო, იმუქრებიან, ხვალ უფრო მეტი ვიქნებითო, სჯობს, დაგვყვეთ, თორემ გვიან იქნებაო.

სწორედ ამის მსგავსი მოვლენებისა ეშინოდათ დამფუძნებელ მამებს, როცა დემოკრატიულ სახელმწიფოს აფუძნებდნენ ამერიკაში.

დემოკრატიის სწორედ ამგვარ ნაკლოვანებებზე მსჯელობენ ჯონ ადამსი და ტომას ჯეფერსონი პირად მიმოწერაში და მათგან თავის დაღწევის გზებს ეძებენ.

სწორედ ამიტომ ცხარობდა ფიშერ ეიმსი, — რესპუბლიკური სახელმწიფო და დემოკრატიული სახელმწიფო ერთი და იგივე არააო; ფრთხილად, თორემ დემოკრატიისაკენ მივექნებითო; დემოკრატია სამოქალაქო სიქველეს ვერ აღზრდის და როცა დაინახავს, რომ ზნეობა ხელს უშლის თავაწყვეტილ სრბოლაში ძალაუფლების მოპოვებისა და ტკბობისა, —თავიდან მოიშორებსო;

მოკლედ, არ არსებობს ზნეობა სამართლიანობის გარეშეო, ამბობდა ეიმსი, და შესაძლოა, სამართლიანობა დემოკრატიის შემწე გამოდგეს, მაგრამ დემოკრატია არასოდეს შეეწევა სამართლიანობასო.

სწორედ ამიტომ მიიღეს მტკიცე და უცვლელი, თავისი წინაპრების, ბრიტანელების, უძველესი კონსტიტუციის თარგზე გამოჭრილი კონსტიტუცია, რომელიც არ იცვლება, რადგან თუ შეიცვლება ამერიკის სახელმწიფოს საფუძვლები შეირყევა.

სწორედ ამიტომ დაამატეს მოგვიანებით დემოკრატიას ლიბერალიზმი, რომ როცა დემოკრატია სახელმწიფოსა და კანონიერებას საფრთხეს შეუქმნის, ლიბერალიზმით დაიოკონ.

სწორედ ამიტომ განასხვავებენ მაჟორიტარულსა და კონსტიტუციურ დემოკრატიებს ერთმანეთისგან, რომ ერთში პოპულარი ხმები და მასებია მთავარი და მეორეში კი სახელმწიფოს კონსტიტუცია.

კონსტიტუციის ხშირი შეცვლა სახელმწიფოს საფუძვლების რყევას იწვევს, ეს აქსიომაა!

ჩვენო, იტყვიან კონსტიტუციური ცვლილებების მოსურნენი, თავიდანვე ვამბობდითო, კონსტიტუციისთვის ხმა არ მიგვიციაო, არ ვარგაო, უნდა შეიცვალოსო, ახალი საარჩევნო კანონი, ახალი საარჩევნო ადმინისტრაცია გვინდაო, მოკლედ, ეგ ჩვენი კონსტიტუცია არ არისო!!!

**აი, ძაღლის თავიც ამოითხარა! ქურდს რომ ქური უგდო, დღეში ათჯერ გატყდებაო!**

**კი, მაგრამ თვითონ არ ამბობდნენ, კონსტიტუციის ფარგლებში ვიმოქმედებთო?! ესე იგი, აღიარებენ კონსტიტუციას, რაკი მისი მოთხოვნების შესრულებას აპირებენ. და თუ აღიარებენ მაშინ მისი ყველა მუხლი უნდა დაიცვან და ისე უნდა მიაღწიონ ცვლილებას, როგორც ეს თვით კონსტიტუციაში წერია.**

არა, ასე არ სურთ, დემოკრატიული გზით სურთ, ხალხი უნდა გამოიყვანონ, ქუჩები გადაკეტონ, აურზაური მოაწყონ და დაე, ხალხმა გადაწყვიტოსო, ხალხია წყარო კანონისა და სამართლისაო.

ჰო, მაგრამ როცა კანონი და სამართალი დადგენილია და მიღებული, ის ყველაზე მაღლა უნდა დავაყენოთ, მთავრობაზეც, პარლამენტზეც, ოპოზიციაზეც, და თვით ხალხზეც. ასე იქცევიან თავისი ქვეყნის მოყვარული პოლიტიკოსები.

როცა ხალხი კანონზე მაღლა დადგება, რევოლუცია დაიწყება.

და ეს სწორედ იმ რევოლუციონერებს სურთ, პირველ „დემოკრატიულ რევოლუციას“ ანუ პუტჩს რომ დაუჭირეს მხარი და მეორე, „ვარდების რევოლუცია“, ანუ სასახლის გადატრიალება თვითონ მოამზადეს და განახორციელეს.

ძალაუნებურად იკითხავ, ახლაც იგივეს ხომ არ აპირებენო, მაგრამ არაო, — ამბობენ, კონსტიტუციის ფარგლებშიო და სწორედ ამის დაჯერებაა ძნელი.

თუკი არ სცნობ ხელისუფლებას, არ სცნობ არჩეულ პრეზიდენტს, კრიმინალებსა და მკვლელებს უწოდებ პარლამენტის წევრებსა და მინისტრებს, ხალხსა და სახელისუფლებო ორგანოებს დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებ, ამბობ, თუ კიდევ უნდათ რევოლუცია, მიიღებენო, მაშასადამე, გასული ხარ კონსტიტუციის ფარგლებიდან და რევოლუციონერი ხარ, ისეთი როგორიც ლენინი იყო, იარაღი უნდა აისხა და ომი დაიწყო.

ნუ გგონიათ, რომ ვაჭარბებ, ასეთი რამ უკვე მოხდა ჩვენს ქვეყანაში და კვლავაც შესაძლებელია, მოხდეს.

ამას პოლიტიკური პარტიებისთვის არ ვწერ, იოტისოდენადაც არ მჯერა, რომ ყურს მათხოვებენ. მკითხველისთვის ვწერ, ეგებ დამიჯეროთ, გაიზიაროთ ჩემი აზრი, გავავრცელოთ და ყველას მივაწვდინოთ; მოდით უარი ვუთხრათ არჩევნებს, 2019 წელს!

გამოვაცხადოთ 2019 უარჩევნებო წელიწადად საქართველოში!

ამას არც მთავრობა სჭირდება, არც პარლამენტი, არც პარტიები, არც რეფერენდუმი და არც კონსტიუციური ცვლილება. ჩვენ, ქართველმა საზოგადოებამ, ამომრჩევლებმა გადავწყვიტოთ, რომ 2019 წელს საქართველოში არჩევნები არ უნდა ჩატარდეს!

რას მივაღწევთ ამით?

**პოლიტიკური ტემპერატურა დაიწევს და ცოტას ამოვისუნთქებთ.**

**რუსეთს ეწყინება, რომ მშვიდობიანად ვცხოვრობთ და ვშრომობთ.**

**მეგობრებს გაუხარდებათ, იფიქრებენ, ეგება ამათაც ეშველოთ რამეო.**

**საბიუჯეტო თანხები დაიზოგება და სოციალური საჭიროებისკენ მიემართება.**

**თბილისის ქუჩებში მიტინგები და მსვლელობები აღარ იქნება.**

**ფიზიკურად დავისვენებთ.**

**ფსიქოზისაგან განვიკურნებით.**

**თოქ-შოუები დამშვიდდებიან და ჩვენც დაგვამშვიდებენ.**

**ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები, დროებით, ერთმანეთს შეურიგდებიან.**

**ახალგაზრდები დაინახავენ, რომ უფროსები არ ჩხუბობენ და თვითონაც არ იჩხუბებენ.**

და კიდევ: აღარ იქნება ლანძღვა-გინება და ბღლარძუნი პარლამენტში... ღმერთო, რას მოვესწარით! ადრე კაცები ეძიძგილავებოდნენ ერთმანეთს, ახლა დედაკაცი და მამაკაცი იწევენ ერთმანეთის საცემრად.

დაპირისპირებანი დროებით შენელდება.

განხეთქილება აღარ გაიზრდება ქვეყანაში.

ოპოზიციური პარტიები ხალხის ქუჩაში გამოყვანას კი არ შეეცდებიან, მომხრეების შეგროვებასა და გადაბირებას შეუდგებიან. მიხვდებიან, რომ თუ გონივრულად იმოქმედებენ, 2020-ში მეტი ამომრჩეველი ეყოლებათ.

ხელისუფლებას დრო ექნება, დაფიქრდეს, 2020 წლის არჩევნების წაგების შიშით, დანაპირები აღასრულოს და მოსახლეობისთვის შრომის, ცხოვრების გაუჯობესების პირობები შექმნას და ეგებ ამომრჩეველიც დაიბრუნოს.

ყოველივე ამისთვის ნუთუ არ ღირს, რომ პირი შევკრათ და არჩევნებს უარი ვუთხრათ, მხოლოდ ერთი წლის მანძილზე?!

ჰო, ვიცი, რომ ჩემი წინადადება ხუმრობას ჰგავს, მაგრამ ისეთი ხუმრობა შევარცხვინე რომ...

**პაატა ჩხეიძე**

## ევროვიზია 2019-ზე კვიპროსს ქართველი მომღერალი თამთა გოდუაძე წარადგენს



**თამთას კანდიდატურა მრავალი კვირის განმავლობაში აქტიურად განიხილებოდა, როგორც საბერძნეთის წარმომადგენელი, თუმცა როგორც ეს წინა წელს მოხდა, ბერძნული პოპ კულტურის ვარსკვლავი, ელენი ფურეირა კვირპროსმა „მოიპარა“. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს კვირპოსი ევროფესტივალის ლიდერად მოიაზრებოდა, თუმცა საბოლოო შედეგებით მე-2 ადგილი დაიკავა.**

კვიპროსს ძალიან უნდა ამ კონკურსის მოგება, შესაბამისად აირჩია კანდიდატი, რომელსაც უამრავი გამოცდილება აქვს. მრავალი წელია, სასურველი კანდიდატების სიაში მოწინავე ადგილს იკავებს ეს მომღერალი (თამთა) შესაბამისად, ფაქტია, კვიპროსი წელსაც ლიდერი იქნება“, — განაცხადა ევროფესტივალის ყველაზე გავლენიანმა მედია მხარდამჭერმა, „ვივიბლოგის“ მთავარმა რედაქტორმა ვილიამ ლიი ადამსმა.

თამთას გამოსვლაზე ევროფესტივალის ცნობილი და გამოცდილი ტექნიკური გუნდი იმუშავებს. უკვე ცნობილია რომ სცენოგრაფიას შვედი საშა ჯინ ბაპტისტი უხელმძღვანელებს, სიმღერის ტექსტზე ფესტივალზე უამრავი წარატების მქონე კომპოზიტორი, ბერძენ-შვედი ალექს პი იმუშავებს. ცნობილია სიმღერის სახელიც. Reply — ასე ერქმევა თამთას ახალ სიმღერას, რომელიც სპეციალურად ევროვიზიისთვის დაიწერა. აღსანიშნავია, რომ სიმღერა ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ქართველი ვარსკვლავის ევროფესტივალზე გამოჩენამ, კვიპროსი ბუქმეიკერების სათავეში მოაქცია. თამთა გოდუაძე ქარველი მომღერალია, რომელიც 21 წლის ასაკში საბერძნეთში გადავიდა საცხოვრებლად.

## პირადობის მოწმობებს 10 იანვრის ჩათვლით უფასოდ გასცემენ

**იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, შშმ პირები პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს უფასოდ მიიღებენ. აქციის შესახებ თეა წულუკიანმა იუსტიციის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. შშმ სტატუსის დამადასტურებელს დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, სრულწლოვნებისათვის პასპორტისა და პირადობის მოწმობების აღება სრულიად უფასო იქნება, არასრულწლოვნები კი, შესაბამისი ცნობის წარდგენის შემთხვევაში უფასოდ პირადობის ელექტრონულ მოწმობებს მიიღებენ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები აქციით სარგებლობას 2018 წლის 10 დეკემბრიდან 2019 წლის 10 იანვრის ჩათვლით შეძლებენ.**

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების უფასოდ მისაღებად მოქალაქეებმა იუსტიციის სახლებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს ან საზოგადოებრივ ცენტრებს უნდა მიმართონ და შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი წარადგინონ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ფოტოსურათის გადაღების საფასურისგანაც თავისუფლდებიან. მზა დოკუმენტები მოქალაქეს 10 სამუშაო დღის ვადაში გადაეცემა. თეა წულუკიანის ინიციატივით, უფასო პირადობის მოწმობის აქცია 2013 წლიდან სისტემატურად ცხადდება.

## შენგელაიას ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა

**ნაძალადევის რაიონში, შენგელაიას ქუჩაზე გზის კაპიტალური შეკეთება დასრულდა. პროექტის ფარგლებში, მოეწყო ბორდიური, ტროტუარი და სავალ ნაწილზე ასფალტის ორფენიანი საფარი დაიგო. საგზაო ინფრასტრუქტურა 4 500-მდე კვ.მ ფართობზე მოწესრიგდა.**

ბოლო ეტაპის სამუშაოებს ნაძალადევის რაიონის გამგებელი ირაკლი ხელაძე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატთან ალექსანდრე ხუჯაძესთან ერთად გაეცნო.

**„რაიონის მასშტაბით მიმდინარე ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროექტი დასრულდა. ქუჩის გარკვეულ მონაკვეთებზე წყლის ამორტიზებული მილები შეიცვალა. მთლიანად მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა. 40 წლის განმავლობაში შენგელაიას ქუჩაზე საგზაო სამუშაოები არ განხორციელებულა. ახლა უკვე მოსახლეობა კეთილმოწყობილი გზით ისარგებლებს“.** ინფრასტრუქტურული სამუშაოების ღირებულება 230 000 ლარია.

## ფოლადისებრი ურთიერთობა

# მეცნიერება ქმნის ქვეყნის პრესტიჟს

**2018 წლის 6-7 დეკემბერს უკრაინელმა ხალხმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნა უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსებიდან 100 წლისთავი და მისი ლეგენდარული პრეზიდენტის, ჩვენი დროის უდიდესი მოაზროვნის, აკადემიკოს ბორის პატონის მე-100 დაბადების დღე.**

უკრაინის ამ საყოველთაო დღესასწაულზე მიწვეული იყო მრავალი ქვეყნის აკადემია, მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და უამრავი სტუმარი.

მე მქონდა პატივი პერსონალური სტუმრის სტატუსით ვყოფილიყავი მოწვეული ამ თავყრილობაზე, როგორც ამ დიდი ღონისძიების პროგრამის საერთაშორისო კომიტეტის წევრი. ეს განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის და უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში შემავალი მონათესავე პროფილის დაწესებულებების ხანგრძლივმა და ნაყოფიერმა თანამშრომლობამ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინსტიტუტებში საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები აქვს დაცული ათობით ქართველ სპეციალისტს. პირადად მე საკანდიდატო დისერტაცია ივანე ფრანცევიჩის სახელობის მასალათმცოდნეობის პრობლემების ინსტიტუტში დავიცავი, ხოლო ჩემ მიერ შემუშავებული მეთოდით თხელკედლიანი კონტეინერების დამზადების ტექნოლოგია, რომელიც ხარკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში სამრეწველო მასშტაბებში ჩაინერგა, ამ დისერტაციას დაედო საფუძვლად. ყოველივე ეს მავალდებულებს, ასეთ სადღესასწაულო დღეებში გვერდით დაუდგე ჩემს ერთგულ უკრაინელ კოლეგებს. ამის გარდა, თბილი ურთიერთობა მაქვს აკადემიის პრეზიდენტთან, აკადემიკოს ბორის პატონთან, და ბოლოს, მე უნდა ვყოფილიყავი ამ დღესასწაულზე, როგორც ვერნადსკის სახელობის ოქროს მედლის კავალერი, რომელიც ითვლება უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უმაღლეს ჯილდოდ და რომლითაც დამაჯილდოვეს 2017 წელს მასალათმცოდნეობის სფეროში შესრულებული პიონერული სამუშაოებისათვის. აქვე მკითხველს შევახსენებ, რომ აკადემიკოსი ვ.ი. ვერნადსკი (1863-1945) იყო უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დამაარსებელი და მისი პირველი პრეზიდენტი. იგი გახლდათ უდიდესი მეცნიერი მინეროლოგი და კრისტალოგრაფი, ბიოგეოქიმიის მამამთავარი, რომელმაც პირველმა განიხილა არაორგანული მატერიალური სამყარო და სიცოცხლე, როგორც ერთიანი სისტემა, და დასაბამი მისცა მომავლის უდიდესი მეცნიერული მიმართულების – ნეოსფეროს განვითარებას.

**საიუბილეო ღონისძიებები ორ ეტაპად ჩატარდა: 5-6 დეკემბერს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია: „შედუღება და მონათესავე ტექნოლოგიები – აწმყო და მომავალი“. კონფერენციაზე საუბარი იყო იმ მეცნიერულ მიმართულებებზე, რომლებშიც უკრაინა ერთპიროვნულ ლიდერადაა მიჩნეული მსოფლიოში. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება ლითონკონსტუქციებს. საქმე ის არის, რომ XVIII-XIX საუკუნეთა უდიდესმა მეცნიერულმა აღმოჩენებმა ხელი შეუწყო მსოფლიოს ინდუსტრიალიზაციის პროცესს. ჯეიმს უატის ორთქლის მანქანამ დიდი ტექნიკური სიახლეები შეიტანა სამრეწველო ინფრასტრუქტურაში. ორთქლის მანქანა ჩადგა მანუფაქტურების სამსახურში, მან შეცვალა აფრიანი გემები, ხორცი შეასხა ჯორჯ სტეფენსონის იდეას რკინიგზის შექმნის შესახებ და 1832 წ. პირველი რკინიგზით პირველმა ორთქლმავალმა პირველი მგზავრები ჩაიყვანა მანჩესტერიდან ლივერპულში. ადამიანის სივრცეში გადაადგილების სიჩქარემ პირველად გადააჭარბა ცხენით გადაადგილების სიჩქარეს.**

უატის მანქანამ ნახტომისებურად გაზარდა საწარმოო სიმძლავრეები და სატრანსპორტო გადაზიდვები – დაიწყო მსოფლიოს დალიანდაგება. ყოველივე ამან თავის მხრივ მოითხოვა სარკინიგზო ინფრასტრუქტურისთვის (რელსები, ჯვართავები და სხვ) ახალი მეტალურგიული საწარმოების შექმნა და ა.შ. და ა.შ.

ყოველივე ეს აისახა ადამიანის საცხოვრებელ გარემოზეც. XIX საუკუნის მეორე ნახევარში პირველად გაჩნდა ფოლადის სამშენებლო კონსტრუქციები ხიდების, კოშკების, ანძების, კარკასული ნაგებობების და სხვათა სახით. ასეთი კონსტრუქციები მრავალი სეგმენტისგან შედგება და თავდაპირველად ადგილზე აიწყობოდა ქანჩებითა და ჭანჭიკებით, უპირატესად კი მოქლონებით. ამ ტიპის კონსტრუქციაა ეიფელის კოშკი, რომელიც დღესაც საინჟინრო აზროვნების შედევრად ითვლება. იგი პარიზს ამშვენებს, აგებულია 1889 წელს, როგორც მსოფლიო გამოფენის სიმბოლო. კოშკი შედგება 15000 დეტალისაგან, რომელთა ასაწყობად გამოყენებულია 2,5 მილიონამდე მოქლონი. კოშკის სიმაღლე 324 მეტრია, საკუთრივ ლითონური კონსტრუქციის წონა 7000 ტონას აღწევს.

მკითხველი ადვილად განაზოგადებს ნაამბობს, მიხვდება, რომ პრობლემა ლითონის ორი ან რამდენიმე დეტალის ერთმანეთთან საიმედო დაკავშირებას ეხება და იმასაც იკითხავს, თუ რატომ არ შეიძლება ასეთი კავშირის განხორციელება ელექტროშედუღებით. იკითხავს და სამართლიანადაც. სწორად ამ კითხვას გასცეს პასუხი გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში უკრაინელმა მეცნიერებმა აკადემიკოს ევგენი პატონის (1870-1954) მეთაურობით. მათ თეორიულად და ექსპერიმენტულად პირველებმა დაასაბუთეს ფოლადის ელექტრორკალური შედუღების რეჟიმში მიღებული შენადუღი ნაკერის მაღალი სიმტკიცე და საიმედოობა, მათვე დაადგინეს დამოქლონებული ლითონკონსტრუქციის ელექტრორკალური შედუღებით შეცვლით გამოწვეული მაღალი ტექნიკური და ეკონომიკური ეფექტიანობა.

ევგენი პატონმა პირველმა განიხილა და შეისწავლა ფლუსის გარემოში ელექტრორკალის, როგორც მეტალურგიული პროცესის ქცევა, მისი ხელმძღვანელობით მსოფლიოში პირველად შეიქმნა ფლუსის ქვეშ ელექტრორკალური შედუღების ავტომატური ხაზი, მიღებულ იქნა ახალი მასალები ელექტროდებისა და საშემდუღებლო ფლუსებისათვის, დამზადდა პირველი საშემდუღებლო ავტომატები და სხვ.

ე. პატონის საინჟინრო შემოქმედების კულმინაციად ითვლება კიევში 1953 წელს მდ. დნეპრზე აგებული მთლიანშენადუღი ხიდი, რომელიც მის სახელს ატარებს. ამ ხიდმა სამართლიანად დაიმკვიდრა საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო სამშენებლო პროექტის სახელი. ხიდის სიგრძე 1542 მეტრია, წონა – 9720 ტონა. იგი შედგება 24 შენადუღი მალისაგან, რომელთაგან ოთხი 87-მეტრიანი მალი სანავიგაციო მიზნებს ემსახურება. ავტომატური შედუღებით შესრულებული ნაკერის საერთო სიგრძე 114 კმ აღწევს. დანადუღი ლითონის წონა, რაც ეკვივალენტურია დახარჯული ელექტროდებისა – 45 ტ. შეადგენს.

**ასეთი ვრცელი მიმოხილვის შემდეგ დავუბრუნდეთ კიევში მიმდინარე საიუბილეო დღეებს. ა/წ 7 დეკემბერს კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შეიკრიბა უკრაინის პოლიტიკური ხელმძღვანელობა პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მეთაურობით და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები, რათა სათანადო პატივი მიეგოთ უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და მისი პრეზიდენტის, 100 წლის ბორის პატონის ღვაწლისათვის ქვეყნის განვითარების საქმეში.**

**პრეზიდენტმა პოროშენკომ წაიკითხა აკადემიისადმი ხელისუფლების მიმართვა, სადაც პოლიტიკური შეფასება მისცა აკადემიის საქმიანობას და დააჯილდოვა გამორჩეული უკრაინელი მეცნიერები.**

**მიმართვაში ჩამოყალიბებული იყო შემდეგი ფორმულა: უკრაინის კულტურა და სპორტი ემსახურება ქვეყნის ცნობადობის გაზრდა-გაფართოებას; ტურიზმი, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ა.შ. ეკონომიკის განვითარებას, ხოლო მეცნიერება – ქვეყნის პრესტიჟს. ეს მიმართვა ხელისუფლების მეცნიერებისადმი ერთგულების ნიმუშად გამოდგება.**

მეცნიერება პრესტიჟული იყო ყოველთვის. ამ დებულების დასადასტურებლად ანტიკური ხანიდან შეიძლება გავიხსენოთ ალექსანდრე მაკედონელისა და დიოგენეს ცნობილი დიალოგი, შუა საუკუნეების პერიოდიდან ტიხო-ბრაგესა და დანიის მეფის, ფრედერიკ II ურთიერთობა და მოგვიანებით, ფრანგული რესპუბლიკების მთავრობის შემადგენლობა, სადაც მოღვაწეობდნენ მეცნიერების კორიფეები: პიერ-სიმონ ლაპლასი, მამა-შვილი კარნოები (მამა-მათემატიკოსი ლაზარე კარნო, შვილები – სადი კარნო, თერმოდინამიკის დამფუძნებელი და იპოლიტე კარნო-სოციოლოგი) და სხვანი.

ვარაუდობენ, რომ დროთა ვითარებაში მეცნიერთა როლი სახელმწიფოს ეკონომიკურ-პოლიტიკური სრულყოფილების პროცესში კიდევ უფრო გაიზრდება. შორეულ მომავალს რომ არ დაველოდოთ, ახლავე შეგვიძლია, შევაფასოთ მეცნიერების როლი ქვეყნის კეთილდღეობაში. თუ მეცნიერული მიღწევების კრიტერიუმად ქვეყანაში მიღებული ნობელის პრემიათა რაოდენობას მივიჩნევთ, ადვილად აღმოვაჩენთ გარკვეულ კორელაციას კეთილდღეობასა და ქვეყნის ერთეულ მოსახლეზე მოსულ ნობელიანტთა რიცხვს შორის. სიის სათავეში მოხვდებიან: აშშ, წარმატებული ევროპული ქვეყნები და იაპონია.

**ახლა ორიოდ სიტყვით შევეხები უკრაინელებისა და ქართველების თანამშრომლობის საკითხს. ყველასათვის ცნობილია ჩვენი საუკუნოვანი კეთილი, მეგობრული ურთიერთობები კულტურის სფეროში. ამ ფონზე ჩვენი ხალხების თანამშრომლობა ტექნიკის სფეროში ბევრად უფრო „ახალგაზრდაა“. იგი იწყება XX საუკუნეში და ასოცირდება ევგენი პატონის სახელთან, რომლის პროექტით 1911 წელს ქალაქ ტიფლისში, როგორც მაშინ ეძახდნენ, მდ. მტკვარზე აშენდა პირველი ლითონის თაღოვანი კონსტრუქციის ხიდი ე.წ. მუხრანის ხიდი. ხიდმა დააკავშირა ქალაქის ცენტრი – სოლოლაკი ციციანოვის აღმართით ავლაბართან. ამ ხიდზე გაიარა პირველმა ელექტროტრამვაიმ. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს იყო ევგენი პატონის პირველი პროექტით აშენებული ხიდი. ასე რომ, პატონმა, როგორც დიდმა ხიდმშენებელმა თბილისში მიიღო ნათლობა და შემდეგში დააპროექტა და ააშენა 150-მდე ხიდი, მათ შორის, ზემოთ ნახსენები უნიკალური პატონის ხიდი კიევში.**

**სამწუხაროდ, 1965წ. მუხრანის ხიდი დაანგრიეს და მის ადგილას ააშენეს ახალი, ბარათაშვილის სახელობის ხიდი.**

ე. პატონი პეტერბურგის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტში სწავლის პერიოდში (1894-1896) დაუმეგობრდა თავის თანაკურსელს, შემდეგში ცნობილ მეცნიერს, მექანიკოსს პროფ. გიორგი გედევანიშვილს. სწორედ მისი თხოვნით მოამზადა ე. პატონმა პირველი ქართველი ასპირანტები, ელექტროშედუღების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

ევგენი პატონის დაწყებული სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა უფრო მასშტაბურად განავითარა მისმა ვაჟმა ბორის პატონმა, რომელიც 1954 წელს სათავეში ჩაუდგა მამამისის დაარსებულ ელექტროშედუღების ინსტიტუტს, რომელსაც უკვე მოპოვებული ჰქონდა მსოფლიო აღიარება და ევგენი პატონის სახელს ატარებდა. 1962 წლიდან ბორის პატონი უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი პრეზიდენტია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბ. პატონის ეგიდით დაფრთიანდა შედუღების, მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის სფეროში ქართველ მეცნიერთა მთელი არმია.

**1966 წელს ბ.პატონის ინიციატივით თბილისში დაარსდა ელექტროშედუღების მოწყობილობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ე.პატონის სახელობის ელექტროსაშემდუღებლო აპარატების ქარხანა. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის და ქარხნის საინჟინრო-ტექნიკური შემადგენლობა მთლიანად დაკომპლექტებული იყო ბორის პატონის სკოლაგავლილი პერსონალით. ეს სპეციალისტები საქმიანობდნენ აგრეთვე საქართველოს ლითონკონსტრუქციების ქარხნებში, სამშენებლო ორგანიზაციებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ს. იაკობაშვილი, ა. ტაბიძე, გ. ალადაშვილი, ა. ბოჭორიშვილი, გ. დადიანიძე, გ. ჯაფარიძე და სხვ.).**

1972 წელს უკრაინელი სპეციალისტების პროექტითა და საავტორო ზედამხედველობით თბილისში, მამადავითის მთაზე აშენდა სატელევიზიო კოშკი. კოშკი თავისი არქიტექტურული ფორმებითა და პროპორციებით ორგანულად ჩაეწერა ქალაქის კულტურულ ლანდშაფტში და მალე ქალაქის ერთ-ერთ ემბლემად იქცა. აღსანიშნავია, რომ კოშკის საპასუხისმგებლო დეტალები და კვანძები შედუღებულია ქართველი სპეციალისტების მიერ, რომლებიც ვირტუოზულად ფლობდნენ „პატონის შენადუღი ნაკერის“ საიდუმლოებას.

**ქართველი და უკრაინელი მეტალურგების, მასალათმცოდნეებისა და შემდუღებლების ტრადიციული სამეცნიერო კავშირები და ნაყოფიერი თანამშრომლობა ბორის პატონის მეთაურობით დღესაც გრძელდება, რაც აირეკლება საქართველოსა და უკრაინის სამეცნიერო ორგანიზაციებს შორის გაფორმებულ მემორანდუმებში და ერთობლივად შესრულებულ მეცნიერულ პროექტებში.**

საქართველოს ტექნიკური ინტელიგენცია დიდ პატივს მიაგებს ამ მეგობრობას.

**გიორგი თავაძე,**

**ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო და გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიების ლაურეატი, უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვ. ვერნადსკის სახელობის ოქროს მედლის კავალერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.**



აკადემიკოსი ბორის პატონი და აკადემიკოსი გიორგი თავაძე



აკადემიკოსი ბორის პატონი და უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო




მარჯვნიდან მარცხნივ – ტარიელ ჭანტურია, ვანო ჩხიკვაძე, სოსო პაიჭაძე, რეზო ურუშაძე, გაადურ ჩხიკვაძე (1989 წ.). ჯემალ კასრაძის ფოტო

# სურათზე გადარჩენილი წამი

**წერილს დართული სურათის არსებობა შესანიშნავი მწერლისა და მოქალაქის, თავისი ქვეყნის ნამდვილი ჭირისუფლის სოსო პაიჭაძის საიუბილეო თარიღმა შემახსენა.**

სურათი ბევრი ვეძებე, გადავაქოთე უჯრები, საქაღალდეები და, როცა იმედი გადამეწურა, მოვეშვი უნაყოფო ძიებას, მოულოდნელად „თვითონ" მომაგნო – ძველი ჩანაწერების ქექვისას გაყვითლებული ფურცლებიდან ამოცურდა, ნელ-ნელა „გაიჩითა", როგორც აზარტული ბანქოს მოთამაშის თითებში კარტი და როდესაც „კარტი" ბოლომდე გაიხსნა, გამოჩნდა ავტობუსებით ჩახერგილი, ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა წლის ადრეული, მღელვარე გაზაფხულის ხალხით სავსე, აბობოქრებული რუსთაველი და ჩვენ, სასურათედ ჩამწკრივებულები – ტარიელ ჭანტურია, მე, ჟურნალისტი, რეზო ურუშაძე და ჩემი შვილი, გაადურ ჩხიკვაძე.

იმ წამიდან, ფირზე რომ აღბეჭდა ჩვენმა ცნობილმა ფოტოხელოვანმა ჯემალ კასრაძემ, ორი კვირაც აღარ არის დარჩენილი ცხრა აპრილის გამთენიამდე – დღემდე, ჩვენი ახალი ისტორიის დასაწყისის ქვაკუთხედად რომ იქცა და იმთავითვე მართალი სისხლითა და წმინდა ცრემლით გაიჟღინთა.

მაშინ, რა თქმა უნდა, არ ვიცოდით, რა სახის სასჯელს მოხარშავდა ძალად პატრონების ავადმყოფი, გაბოროტებული ტვინი, ჩვენი „არტახებიდან ამოთათვის" მცდელობის აღსაკვეთად, მაგრამ იმას კი ვგრძნობდით, რომ ერის გულისწყრომის ზვავის შემჩერებელი ისინიც კი აღარ იყვნენ, ვინც ამ ზვავს ბიძგი მისცა და მწვერვალიდან დააგორა.

სოსო პაიჭაძეს იმ ხანებში არ მიუტოვებია რუსთაველის პროსპექტი, რომლის გულისცემაზეც მთელი საქართველო იყო მიყურადებული.

ახლაც ჩვენ შორის დადის მთელი სიცოცხლის ნაოცნებარის ახდენის მოლოდინში.

წლების წინათ, უნივერსიტეტის ბაღში, შოთა ჩანტლაძის „ლექციებზე" პირველად რომ შევხვდით, იქიდან მოყოლებული, სულ ასეთი მახსოვს, როგორც ამ სურათშია – ასეთი „დგომი", ამგვარი პოზა, გამოხედვა, სერიოზულობისა და ირონიულის ზღვარზე „შეჩერებული" გამომეტყველება, ყურადღებით რომ გისმენს და თან თითებში გაუხეშებულ თუთუნიან პაპიროსის ღერს „ამუშავებს", არბილებს, ისეთი მონდომებით თუ რუდუნებით, გეგონება, რაღაც მნიშვნელოვან რიტუალს ასრულებს.

სოსოსთან არ გჭირდებოდა ფუთობით მარილის დაგემოვნება, რომ მიმხვდარიყავი, როგორი უღალატო, ნათელი, მართლაც თოვლზე უსპეტაკესი სულის პიროვნება იყო.

სხვებთან დამთმობი და შემწყნარებელი, მკაცრი და მომთხოვნი გახლდათ საკუთარი შემოქმედებისა და ცხოვრების წესის მიმართ.

დაუწურავ და დაუღვინებელ ნაწარმოებს იოლად ხელიდან არ გაუშვებდა.

ამიტომაც, მართალია, ხელხვავიანობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ, რაც დატოვა, გულის ნაღდ სისხლშია გამოტარებული და გამოკვებილი.

სოსოს ადამიანი უყვარდა, უფრთხილდებოდა, როგორც იუველირი ძვირფას ნახელავს – მახსოვს, „მნათობის" რედაქციაში მუშაობისას, თავად როგორ იტანჯებოდა ხოლმე, ავტორისთვის მთავარი რედაქტორის ვერდიქტი – დაბეჭდვაზე უარი რომ უნდა ეთქვა.

ხშირად ვფიქრობ, ალბათ, იმიტომ გაირყვნა, წახდა ჩვენი ყოფა, წუთისოფელი, სოსო პაიჭაძის მსგავსნი სანთლით საძებარი რომ გახდნენ-მეთქი.

რა მოხდა? დრო გაბერწდა, ღირსეულებს აღარ შობს და თანდათან მოილივნენ, თუ „უნდობარმა დრომ" მიჩქმალა, მიმალ-მომალა, მათთვის უზნეობით გაჯერებულ დღევანდელობაში შესაფერისი როლები ვერ გამოიმეტა?

უნივერსიტეტის მაშინდელ ბაღში, შოთა ჩანტლაძისა და ჩვენი ახალგაზრდა მწერლების ერთერთი თავშეყრის ამბავზე დოკუმენტური მოთხრობა „იყო ერთი საღამო" მაქვს გამოქვეყნებული.

„ვარაზისხევიდან ამომავალი კიბის ხელმარჯვნივ, დაფხვნილი აგურით მოკირწყლულ ბილიკზე, ხის ქვეშ მიდგმულ ძელსკამზე, ფეხი ფეხზე გადადებული შოთა ზის, მზერა სადღაც ზემოთ მიუმართავს და, თითქოს ვერც ამჩნევს, – თანდათან მის გარეშემო როგორ ვგროვდებით".

ვინ ვიყავით, ვინ ვგროვდებოდით?

გიგლა სარიშვილი, გიორგი ჯაფარიძე, ხანდახან ზვიად გამსახურდია, თედო ბექიშვილი, „ბრატი" – იურა ბაქანიძე, ირაკლი ვაშაყმაძე, გიზო ზარნაძე, „ოჩკომალი" – გოგი კვირკველია, გივი ალხაზიშვილი, ჯემალ დავლიანიძე, ვახტანგ ხარჩილავა, ზაურ მოლაშხია, მურმან ჯგუბურია, ზოგჯერ ნია აბესაძე და ლალი ბრეგვაძეც დაგვამშვენებდნენ...

და, რა თქმა უნდა, სოსოც, შორიახლო, თავისი ტრადიციული „დგომით" და გამოხედვით.

ერთხელ, გიგლამ, „ბორშჩზე" თუ არ მეპატიჟებით, სიგარეტი მაინც გაიმეტეთ ვინცხამო, მოგვავლო თვალი.

ერთადერთმა „ბრატმა" ამოაძვრინა ბოლო ტყვიასავით შემონახული ერთღერშემორჩენილი „პრიმის" კოლოფი.

მოერიდა გიგლას, ბოლო ღერი როგორ გამოგართვაო და გამჩენს „შეჰღაღადა", ეს ქვეყანაა, კაცი „პრიმასაც" ვერ ყიდულობდეო, და იქვე იურამ „დაამშვიდა", ასე დიდხანს აღარ გაგრძელდებაო.

„ – ა, „ბრატ", მიმიცია კომუნისტებისთვის ხუთი წელი და ჩამოენგრევათ თავზე...

– ცოტა მოუმატე, – „შეეხვეწა" თედო.

– ამ მონსტრის დაქცევას შეიძლება, ხუთი წელიც არ დასჭირდეს. აგერ ხართ თქვენ და, აგერ ვარ მე...

– ასეთი თამამი პროგნოზის გაკეთებას ყველაზე მწარე სოვეტოლოგებიც ვერ ბედავენ! – გაეცინა სოსოს..."

მართალიც იყო, ნამეტანი მოინდომა „ბრატმა", ჯერ სამოციანი წლების შუა ხანებია, რომელ დაქცევაზეა ლაპარაკი, ყვავის ერთა ძმური ოჯახი.

„იმ დღიდან მოყოლებული, „ბრატის" შეპირებულმა თავისუფლებამ ოთხჯერ ხუთი წლით თუ უფრო მეტით დააგვიანა, თუ ეს თავისუფლება ორი შერეკილის გვირაბიდან გვირაბში გაქცევას არ ჰგავს", – ვწერ მოთხრობაში.

მაშინ რუსთაველის პროსპექტზე გავახსენე სოსოს „ბრატის" ახირება, მოკლე ხანში რომ აპირებდა საბჭოთა მონსტრის დაქცევას. ვინ მოსთვლის, მას შემდეგ რამდენი კოლოფი „პრიმა" დაწვა იურამ და შენ კიდევ – რამდენი ღერი „დაარბილე" თითებში-მეთქი!

მაშინდელი ბაღის „ლექციის" მონაწილეთაგან ბევრი ნაადრევად წავიდა.

წავიდა სოსოც, წავიდა იმედის გამცრუებელ, ოთხმოცდაათიანის მძიმე ხანებში, როდესაც გარეულმა და შინაურმა, ერთნაირი დაუნდობლობით ძიძგნა ქვეყნის გადარჩენისა და ხსნის ელვარება, რომლის ლაციცმაც ერთმანეთს 1989 წლის 25 მარტს რუსთაველის პროსპექტზე შეგვახვედრა.

სოსოზე სხვაც ბევრი მაქვს გასახსენებელი, მაგრამ სურათზე გადარჩენილმა წამმა, ჯერჯერობით, ეს ამომათქმევინა.

იმათი დროც დადგება, მთავარია, ჩვენმა ხვალინდელმა დღემ მაშინდელი ის ნაოცნებარი ბოლომდე აახდინოს, ფოტოსურათზე ჩვენს თვალებსა და გულებში რომ სუფევს.

ჯერჯერობით, შედეგს მოლოდინი სჯობნებია.

მჯერა, სოსო პაიჭაძეს აქედან გაყოლილი სადარდელი იქაც არ ასვენებს!

**ვანო ჩხიკვაძე,**
7. XII.2018 წ.

## სხვა სიღრმე

**სოსო პაიჭაძე სიმბოლოა, ქართული ალტერნატიული პროზის სიმბოლო. ოღონდ ალტერნატიულობა აქ უნდა გავიგოთ არა როგორც სხვა გზა, არამედ სხვა სიღრმე. ის ჩვენი ლიტერატურის სინდისს იცავდა მაშინ, როდესაც ეს იოლი საქმე არ იყო.**

ხშირად შევხვედრივარ ჟურნალ „მნათობის" რედაქციაში. პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ძალიან ნაცნობი, შინაური, ახლობლური ჩანდა. მის სანდომიან სახეზე „ადვილი" ადამიანის ხასიათი იკითხებოდა.

სამაგიეროდ, „ძნელი" იყო, როგორც მწერალი. თუმცა სწორედ ეს სიძნელე გვიზიდავდა მის ნაწარმოებებში. ცხოვრების ნაკადი, რეფლექსური თხრობა, ალტერნატიული პროზა – რაც გნებავთ, დაარქვით, ეს იყო ის, რაც გვჭირდებოდა, რაც მაღალ ლიტერატურულ ფასეულობას ქმნიდა.

უნდა ვაღიაროთ, რომ სოსო პაიჭაძის „თბილი, გრძნეული წვიმა", „ბაქანი „ბოტანიკური ბაღი", „სადაით დაეცი" და სხვა ნაწარმოებები ქართული პროზის საგანძურს წარმოადგენს. ეს არის ორიგინალური, ღრმა, ზუსტი ლიტერატურა იმის შესახებ, თუ რა ხდება ადამიანის სულის ფარულ სივრცეებში, როგორ შეიძლება, ქვეცნობიერი იქცეს ცნობიერ ფაქტად და რა კავშირი არსებობს ჩვეულებრივსა და არაჩვეულებრივს შორის. ამავე დროს, სოსო პაიჭაძის შემოქმედება არის ქრესტომათიული პროზა, რომელიც გვასწავლის, თუ რა ძნელია, წერო სიმართლით და რა ადვილია ყველაფერი, როდესაც ლიტერატურას სჭირდები.

**ივანე ამირხანაშვილი**

ლეგიონერი

# გოგა ბითაძე ევროლიგაში ითამაშებს!




**19 წლის ქართველი კალათბურთელი გოგა ბითაძე კარიერას მონტენეგროს საუკეთესო კლუბ „ბუდუჩნოსტში“ გააგრძელებს, რომელიც მიმდინარე სეზონში ადრიატიკის ლიგის გარდა ევროლიგაშიც ასპარეზობს.**

ეს მოულოდნელი ინფორმაცია მცირე ხნის წინათ გავრცელდა და უკვე დაადასტურეს როგორც პოდგორიცელებმა, ასევე — გოგას უკვე ყოფილმა კლუბმა „მეგა ბემაქსმაც“.

საინტერესო იყო „ბუდუჩნოსტის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გავრცელებული განცხადებაც: „საკალათბურთო საოცრება გოგა ბითაძე სეზონის ბოლომდე ჩვენი გუნდის ღირსებას დაიცავს“.

ქართველი ცენტრის ბოლოდროინდელი ასპარეზობა მისი კარიერული წინსვლის საფუძველი ნამდვილად გახლდათ, თუმცა, აქამდე მისით მონტენეგროელთა დაინტერესების შესახებ არაფერი დაწერილა.

საინტერესოა, რომ „მეგა ბემაქსი“ „ბუდუჩნოსტს“ სულ რამდენიმე დღის წინათ, 10 დეკემბერს დაუპირისპირდა და მაშინ ქართველი ლეგიონერი შეუჩერებელი გახლდათ: გოგამ მოედანზე 31 წუთი გაატარა და 23 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 4 დაფარება მოაგროვა..

მას შემდეგ ბითაძემ 23 ქულა ჩაუგდო სერბული კალათბურთის უმთავრეს გრანდ „ცრვენა ზვეზდასაც“ და ეს ჩვენებურის ბოლო მატჩი აღმოჩნდა „მეგა ბემაქსის“ მაისურით.

უკვე ცნობილია, რომ გოგას სანაცვლოდ პოდგორიცელებმა სერბულ გუნდში ზორან ნიკოლიჩი გაუშვეს, თუმცა, მას რომ ქართველი ლეგიონერის ფუნქციების შესრულება გაუჭირდება, ფაქტია.

მიმდინარე სეზონში გოგამ „მეგა ბემაქსის“ მაისურით 11 მატჩის ჩატარება მოასწრო, მისი საშუალო მაჩვენებლები კი შთამბეჭდავი იყო: 20.2 ქულა, 7.9 მოხსნა, 1.2 პასი, 2.5 დაფარება, სარგებლიანობის კოეფიციენტი 24.6. ბითაძის ახალ კლუბ „ბუდუჩნოსტს“ ადრიატიკის ლიგაში 8 მოგებითა და 3 მარცხით მე-2 ადგილი უკავია, ამაზე უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ქართველ ტალანტს ძალების მოსინჯვა ევროლიგაში მოუწევს.

პოდგორიცელებმა ევროპული კალათბურთის უმთავრეს ტურნირში თამაშის უფლება ადრიატიკის ლიგის გასულ სეზონში „ცრვენა ზვეზდას“ ჰეგემონიის დამხობით მოიპოვეს და საქმე სასირცხვილოდ ნამდვილად არ აქვთ.

სადებიუტო სეზონში „ბუდუჩნოსტმა“ უკვე მოუგო ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტ მოსკოვის ცსკა-ს და მას თორნიკე შენგელიას „ბასკონია“ და კიდევ ერთი ესპანური გრანდი „ბარსელონა“ მიაყოლა.

3 მოგებითა და 10 მარცხით პოდგორიცელებს ევროლიგის სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა მე-15 ადგილი უკავიათ, თუმცა, თელ-ავივის „მაკაბისა“ და რუსულ „ხიმკის“ მხოლოდ თითო გამარჯვებით ჩამორჩებიან.

დიდი ალბათობით, ბითაძე ახალი კლუბის მაისურს პირველად 24 დეკემბერს მოირგებს, როდესაც მონტენეგროს საუკეთესო გუნდი ადრიატიკის ლიგაზე სლოვენიურ კრკა-ს ესტუმრება.

ვთქვათ ისიც, რომ „ბუდუჩნოსტში“ ბითაძეს გარჯა არაერთი ცნობილი კალათბურთელის მხარდამხარ მოუწევს ესენი არიან საფრანგეთის ნაკრების წევრი ედვინ ჯექსონი, სლოვენიელი ალენ ომიჩი, ბოსნია-ჰერცეგოვინის წარმომადგენელი ნემანია გორდიჩი, ამერიკელი ლეგიონერები ეარლ კლარკი და კოტი კლარკე, მონტენეგროს ნაკრების მოთამაშეები ნიკოლა ივანოვიჩი, სუად და სეად სეჰოვიჩები, ფილიპ ბაროვიჩი, პეტარ პოპოვიჩი, დანილო ნიკოლიჩი...

ბითაძის ახალი მწვრთნელი ექსტრავაგანტური სერბი ალექსანდარ ჯიკიჩი იქნება, რომელსაც სერბულ „პარტიზანში“, სლოვენიურ „ოლიმპიასა“ და კრკაში, ლიტვურ „ლიეტუვას რიტასსა“ და მაკედონიის ნაკრებში უმუშავია, 2005-07 წლებში კი „მინესოტა ტიმბერვულვზში“ მწვრთნელის ასისტენტი გახლდათ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

რაგბი ჩვენი თამაშია!

# მათ შორის — ჩრდილოეთშიც

**რუსულმა სარაგბო კლუბმა „სლავამ“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე გია ამირხანაშვილი დანიშნა. მოსკოველთა პრეს-სამსახურის ცნობით, ქართველი სპეციალისტი კლუბში 2 სეზონის განმავლობაში იმუშავებს, მისი წინამორბედი ანდრეი ჩერევიჩნი კი კლუბში მუშაობას ასისტენტის რანგში განაგრძობს.** „ნოემბერში თბილისში „სლავას“ გენერალურ დირექტორ ალექსეი ნილოვსკის შევხვდი და წინადადება სწორედ მისგან მივიღე. მალევე შევთანხმდით და თანხმობაც მივეცი“, — აღნიშნა ამირხანაშვილმა „სლავას“ ვებ-გვერდთან საუბარში და დამატებით რამდენიმე კითხვასაც უპასუხა.



**— თქვენს შესახებ რას გვეტყვით?**

— რაგბი 7 წლის ასაკიდან დავაჭაშნიკე. საქართველოში „ივერიასა“ და „ლოკომოტივში“ მითამაშია, რომლის მაისურითაც ქვეყნის ჩემპიონი სამჯერ გავხდი. მცირე ხანს ინგლისში ნახევრადპროფესიულ კლუბ „ფლიტვიდ იუნაიტედში“ ვირიცხებოდი, რის შემდეგაც მორაგბის კარიერა დავასრულე და უკვე 23 წელია მწვრთნელად ვმუშაობ. თავდაპირველად ბავშვთა გუნდებში ვმოღვაწეობდი, მერე — იუნიორებში და ბოლოს დიდებზე გადავედი. ჩემი ხელმძღვანელობით გორის „ჯიქები“ პირველი ლიგიდან უმაღლესში გადავიდა და რამდენიმე სეზონი პირველ ხუთეულში ვხვდებოდით, შემდეგ „ბრინჯაო“ ავიღეთ, 2017 წელს კი ფინალში „ბათუმი“ დავამარცხეთ და საქართველოს ჩემპიონები გავხდით.

**— ნილოვსკისთან შეხვედრამდე „სლავას“ შესახებ რა იცოდით?**

— უკანასკნელ წლებში რუსეთის ჩემპიონატს თვალს ვადევნებდი. „სლავას“ თამაშებიც მინახავს და მათი შესაძლებლობების შესახებაც ვიცოდი. პლიუსებიდან უნდა აღვნიშნო ფორვარდების მოქმედება სტატიკაში. მთელ რიგ შეხვედრებში შერკინება მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა. გარდა ამისა, მომწონდა ბიჭების ხასიათი და ინდივიდუალური ქმედებები.

**— გუნდის გაძლიერებას თუ გეგმავთ? თუ კი, პირველ რიგში, რომელი პოზიციების გადახალისებას აპირებთ?**

— უკვე გადაწყვეტილია, რომ ჩემთან ერთად გუნდში მოვა პირველი ხაზის 2 მორაგბე, ბურჯები — პირველი და მესამე ნომრები, აგრეთვე, აუცილებელია 10 ნომრის პოზიციის გაძლიერება. აუცილებლად შევიმატებთ 13 ან 15 ნომერსაც, თუმცა, სავარაუდოა, რომ ისინი ქართველები არ იქნებიან. უფრო ტონგელს ან ფიჯელს ავიყვანთ. იმედი მაქვს, რომ უახლოეს პერიოდში „სლავას“ ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება და გაძლიერებას მოვახერხებთ.

**კობა კობახიძე**

ასეთია მწვრთნელის ბედი

# იგი წავა და სხვა მოვა...

**„მანჩესტერ იუნაიტედიდან“ ორიოდე დღის წინათ დათხოვილმა ჟოზე მოურინიუმ, შესაძლოა, მიუნხენის „ბაიერნი“ ჩაიბაროს, გვამცნობს ესპანური Don Balon. გამოცემის თანახმად, ბავარიული კლუბის ხელმძღვანელობა ახლანდელი დამრიგებლის ნიკო კოვაჩის მუშაობით უკმაყოფილოა და მას, სავარაუდოდ, სეზონის ბოლოს დაემშვიდობება.**




„ბაიერნში“ საზაფხულოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები იგეგმება. ერთი, რომ ვეტერანები ფრანკ რიბერი და არიენ რობენი მიდიან. მეორეც, დიდი ალბათობით, გუნდს თომას მიულერი, ხავი მარტინესი, ჯერომ ბოატენგი და მათს ჰუმელსიც დატოვებენ, ახალი გუნდის აწყობას კი პორტუგალიელ სპეციალისტს დაავალებენო.

სხვათა შორის, დიდი ხუთეულის ჩემპიონატებიდან „განსაკუთრებულს“ გერმანიაში და საფრანგეთში ჯერ არ უმუშავია.

**რას შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედს“, მას სეზონის ბოლომდე ოლე გუნარ სოლსკიაერი გაწვრთნის, კლუბის ლეგენდა, რომელმაც „ოლდ ტრაფორდზე“ 1996-2007 წლებში არაერთი დასამახსოვრებელი წუთი გაატარა.**

სოლსკიაერი სერ ალექს ფერგიუსონის ჯოკერი იყო, რომელსაც არაერთხელ გადაუწყვეტია მატჩების ბედი, მათ შორის 1999 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში, რომელიც „იუნაიტედმა“ „ბაიერნის“ წინააღმდეგ მოიგო.



ნორვეგიელი სპეციალისტი „ოლდ ტრაფორდზე“ 11-წლიანი განშორების შემდეგ დაბრუნებით ბედნიერია:

„სახლში დაბრუნება ფანტასტიკურია. რამდენიმე გიჟური დღე მქონდა, მაგრამ უბრალოდ შესანიშნავია ყველას კიდევ ერთხელ ნახვა. განსაკუთრებული 6 თვე იქნება და ვეცდები, ეს მაქსიმალურად გამოვიყენო. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემს გულშია და შესანიშნავია მწვრთნელის რანგში დაბრუნება. ერთი სული მაქვს, ამ გუნდთან ერთად მუშაობა დავიწყო.

„ოლდ ტრაფორდზე“ თავს კომფორტულად ვგრძნობთ, ხოლო ფეხბურთელები თვლიან, რომ სახლში არიან. მინდა, რომ ვიამაყო ამ გუნდის თამაშებით, გულშემატკივრები კი გუნდით ამაყობდნენ. ერთი სული მაქვს, რომ ეს ვნახო“, — განაცხადა ნორვეგიელმა კლუბის ვებ-გვერდთან საუბარში.

შეგახსენებთ, რომ ოლე გუნარ სოლსკიაერმა ჟოზე მოურინიუ შეცვალა და „წითელი ეშმაკები“ სეზონს მისი ხელმძღვანელობით დაასრულებენ.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# ბავარიელთა მხარდასაჭერად

**მიუნჰენის „ბაიერნი“ გერმანიისთვის და, განსაკუთრებით, ბავარიის რეგიონის მოსახლეობისთვის ის კლუბია, რომლითაც**



**თაობები ამაყობენ. სწორედ ამიტომ, როდესაც მიუნჰენური გიგანტის ამსეზონური, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ საამაყო გამოსვლა უდევთ თვალწინ, რიგითი მოქალაქეებიც კი ცდილობენ კლუბს დაეხმარონ და გერმანელებს, როგორც წესი, ეს საქმეც ძალიან კარგად გამოსდით.**

მიუნჰენში, ისევე როგორც გერმანიის თითქმის ყველა ქალაქში, საშობაოდ მუდამ იმართება ბაზრობები, სადაც შედარებით შეღავათიან ფასად შესაძლებელია სხვადასხვა საშობაო ნივთებისა და საჭმელ-სასმელის შეძენა. ბავარიაში მდებარე რამდენიმე დიდი ლუდსახარში სწორედ „ბაიერნის“ გასამხნევებლად გაერთიანდა და საშობაოდ მათ მიერ გამოტანილი დიდებული გერმანული ლუდის გაყიდვიდან შემოსული თანხით რეკორდმაისტერისთვის სიურპრიზის გაკეთება სურთ.

სიურპრიზი იმის სიურპრიზია, რომ უნდა დამალო და ვისაც უკეთებ, მისთვის მოულოდნელი უნდა იყოს, თუმცა, მაინც გაჟონა ინფორმაციამ და, როგორც გერმანიის ბულვარული პრესა წერს, ბავარიელ მელუდეებს გადაწყვეტილი აქვთ საშობაო ბაზრობიდან აღებული თანხით „ალიანს არენაზე“ შესვლის და მატჩებზე დასწრების საშუალება ყველაზე ღარიბ მიუნჰენელებს მისცენ. როდესაც ასეთ ამბებს გაიგებ, „ბაიერნის“ ფეხბურთელებს კი არა, რიგით ქართველსაც კი მოგემატება ცხოვრებისა და წარმატების მოტივაცია...

**როსტომ რაჭველიშვილი**



# ნეტარი ანგელინა – წმინდანი

23 დეკემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ნეტარ წმინდანს ანგელინას.

ცნობილია, რომ წმინდა ანგელინას და მის მეუღლეს სტეფანეს ბევრი მწუხარების მოთმენა მოუხდათ — ისინი დამამცირებლად გააძევეს იტალიაში. ნიშანდობლივია ის, რომ წმინდა ანგელინა ქმრის გარდაცვალების შემდეგ მონაზვნად აღიკვეცა და თავისი მოსაგრეობით და ქველმოქმედებით იყო ცნობილი. ის ქართულ მონასტრებზეც ზრუნავდა.

აღსანიშნავია, რომ თურქების ბატონობის წლებში სერბი ხალხი მათ მიმართ (ანგელინასა და სტეფანეს) ლოცულობდა და სამშობლოს განთავისუფლებაში შეწეობას სთხოვდა. მათგან უსჯულონიც იკურნებოდნენ და ქრისტიანული სარწმუნოების სიდიადე უკვირდათ. წმინდა ანგელინა სერბეთის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და პატივისაცემი წმინდანია, ხალხი მას „მაიკა“ (დედიკო) ანგელინას უწოდებს.

# წმინდანნი – საქართველოში წამებულნი და ღირსნი მამანი და დედანი

24 დეკემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ყველა წმინდანს ღირს მამებს და დედებს.

ქართული აგიოგრაფიული ძეგლებისა და საქართველოს ისტორიის გაცნობისას სამართლიანად იბადება აზრი, რომ ზეციური საქართველო განუზომლად დიდია. კაცთაგან არავინ იცის, რამდენმა მოიბანა მიწიერი მწიკვლი ქრისტესთვის თავდადებით უსჯულოებთან ლოცვით, მარხვითა და მოღვაწეობით, მხოლოდ ღმერთმა იცის ჩუმად მოღვაწე იმ ერისკაცთა და დედათა შესახებ, რომლებიც დაუღალავად ჭედდნენ საქართველოს ეკლესიისა და ერის მომავალს...

შეუძლებელია საქართველოს მებრძოლი ეკლესიიდან ზეციურ მედღესასწაულე ეკლესიაში ამაღლებულ ქრისტიანთა ჩამოთვლა, მით უმეტეს, შეუძლებელია მათი ღვაწლის აღწერა... ყველასთვის ცნობილ წმინდანთა სახელებს ემატება ქართული ანბანის მიხედვით ჩამოთვლილი მამათა და დედათა სამასამდე ქართული წარმოშობის სახელი...

**გიული ლიპარტია**



დანართი №1 (4 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2018 წლის „19 დეკემბერი“
№ 01-01-3/521 ბრძანებით

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| N | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში | საწყისი ფასი (ლარი) | ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სოფელი | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | $P_2$ | 5 წელი | 5 000 $მ^3$/წელიწადში | 84.00 | 220,00 |
| 2 | ქ.ბათუმი, მეჯინისწყლის დასახლება | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | $P_2$ | 5 წელი | 60 000 $მ^3$/წელიწადში | 1 006,00 | 450,00 |

| | |
|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 245429200 |
| მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის |

# „თვით თალიბები ვერ რისკავენ ამ სოფლებში შესვლას“

სოციალურ ქსელში ირაკლი ბითაძე ავღანეთში შესაძლო ქართულ სოფლებზე წერს.

**„31-ე ბატალიონმა ავღანეთიდან ჩამოიტანა საინტერესო სიახლე — იქ, ქვეყნის სამხრეთში, ჰელმენდის პროვინციაში დღემდე არსებობს სოფელი, რომლის მცხოვრებლებიც საკუთარ თავს გურჯებს უწოდებენ. სოფელი მდებარეობს მთებში და მეტად განცალკევებულია სხვა სოფლებისაგან. ეს საკმაოდ დიდი სოფელია, რომლის მცხოვრებნიც თავს მიიჩნევენ ავღანეთის დამპყრობის, ქართველი მეფის გიორგის შთამომავლებად. გიორგი მოუწამლავთ მაშინ და მისი მოლაშქრეების დიდი ნაწილი აქ დარჩენილა. ამბობენ, რომ მთელ ავღანეთში რამდენიმე ასეთი სოფელი არსებობს. როდესაც ამერიკელები და ავღანელები ჩვენებს უყვებოდნენ ამ „გურჯების“ შესახებ, დასძენდნენ, რომ ესენი არიან ყველაზე სასტიკი და საშინელი ადამიანები — და დღემდე ეშინიათ მათი. ჰყვებიან, რომ თვით თალიბები ვერ რისკავენ მათ სოფლებში შესვლას დახმარების სათხოვნელად. ამერიკელებიც მოკრძალებულად უვლიან გვერდს, რათა არ დაარღვიონ მათი ნეიტრალიტეტი. პუშტუნელ ავღანელებს ჰქონიათ გამოთქმა: თუ ხიდზე პირისპირ შეეჩეხები გურჯს, გირჩევნია გადახტე ხიდიდან... ეს გურჯები ლაპარაკობენ პუშტუნთა ენაზე, მაგრამ გარეგნობით შესამჩნევად გამოირჩევიან მათგან, ისინი უფრო ღია ფერის არიან და ფერადი თვალები აქვთ — ძირითადად ცისფერი. ისინი იფიცებიან, რომ არიან გურჯები, დარჩენილნი არიან ავღანეთში ქართველების ლაშქრობის შემდეგ და მათი წინაპართა გვარები — როსტომაშვილები, ყიფიანები, გურასაშვილები, დაღუნდარიძეები და კარგაძეები ყოფილა... აი, ასეთია ეს ისტორია. საქმე ის გახლავთ, რომ ჯარისკაცები ხომ ვერ წაიყვანდნენ საქართველოდან თავიანთ ქართველ ქალებს და იქ დარჩენილნი, ქორწინდებოდნენ პუშტუნელ ქალებზე. შემდეგ მათი შვილებიც ასევე და თანდათან იკარგებოდა წმინდა ქართული გენეტიკა, მაგრამ მიუხედავად განვლილი საუკუნეებისა გარეგნული განსხვავება აშკარად თვალში საცემია. რაც მთავარია, მათ დარჩათ ისტორიული მეხსიერება და მეომრული სული, შემორჩენილი გიორგი მეფის ნარჩევი ვაჟკაცებისგან“.**





# მელექედურს მგლები შეესივნენ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მელექედურში მგლები შენიშნეს. მტაცებლები დასახლებულ პუნქტებში, გუშინ დილის საათებში ადგილობრივებმა შენიშნეს. როგორც ისინი აცხადებენ, წლების განმავლობაში მელექედურში მგელი არავის უნახავს, რადგან სოფელი ვაკეზეა გაშენებული, რაიონული ცენტრიდან 5 კილომეტრითაა დაშორებული და მჭიდროდაა დასახლებული.



„აქ ტყე არ არის, გაგვიკვირდა მგლების დანახვა, მაგრამ მტაცებელს რომ მოშივდება, ყველგან დაწანწალებს. ჩვენს სოფელში ტურები კი იყო ბლომად, მთელი ღამის განმავლობაში გვესმოდა მაგათი კივილი. ბოლო დღეებია, ტურის ხმა საერთოდ არ ისმის. შესაძლოა, მათ მგლები დაერია. ორი მგელი იყო ერთად. ძველი ჩაის ფაბრიკის შენობის ტერიტორიაზე მოძრაობდნენ. დროულად უნდა დაგვეხმარონ, სანამ ეს მშიერი მტაცებლები საქონლებს დაერევა. ამ ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტია და ადამიანებს ექმნებათ საფრთხე“, — გვეუბნება ადგილობრივი მკვიდრი.

| | |
|---|---|
| სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას; |
| | თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით ა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 24 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 25 იანვარს დღის 18.00 საათზე |
| აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 25 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 25 იანვარს დღის 18.00 საათზე |
| სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

# სურს თუ არა პუტინს მსოფლიოს მართვა



20 დეკემბერს გამართულ წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს Wall Street Journal-მა პირდაპირ დაუსვა კითხვა — სურს თუ არა პუტინს მსოფლიოს მმართველი იყოს.

**„ჩვენ ვიცით, სად არის ის შტაბბინა, სადაც მსოფლიოს მმართველობა სურთ. და ის მოსკოვში არ მდებარეობს. ეს ის შტამპია, რომელიც ჩვენ დაგვადეს, რათა შიდაბლოკური საკითხები გადაიჭრას, NATO-ს ირგვლივ ქვეყნები გააერთიანოს. აღმოსავლეთ ევროპაში რუსოფობია სუფევს. რატომ? იმიტომ, რომ ისტორიული შიშების გამო საკუთარი კეთილდღეობა უზრუნველყონ. ეს წარსული ფობიის ექსპლოატირებაა. ეს საქმეს ვნებს. ჩვენი პოლიტიკის მიზანია ჩვენი ქვეყნის გაძლიერება და რუსეთის განვითარება. რუსეთი უნდა იყოს თანაბარწონიანი პარტნიორი თანაბართა შორის,“** — აღნიშნა პუტინმა.

# არ აღიაროთ უკრაინის ახალი ეკლესია!..



**რუსეთის პატრიარქმა კირილმა სხვა ქვეყნების მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს მოუწოდა, არ აღიარონ და კავშირში არ შევიდნენ უკრაინის ახალ, მართლმადიდებელ გაერთიანებულ ავტოკეფალიურ ეკლესიასთან. ეს გზავნილი მოსკოვის საპატრიარქოს ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.**

კირილი აცხადებს, რომ „უკრაინის ეკლესიის გამაერთიანებელმა კრებამ ღრმა ჭრილობა მიაყენა კანონიკურ მართლმადიდებლობას მთელს მსოფლიოში“. მისი თქმით, კრებაში ცრუ-ეპისკოპოსები მონაწილეობდნენ „არაკანონიკური ეკლესიებიდან“.

# „კანონიერ ქურდს“ 45-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

**მანჰეტენის ფედერალურმა სასამართლომ 41 წლის ქართველ ე.წ კანონიერ ქურდს რაჟდენ შულაიას, იგივე რაჟდენ პიტერსკის, იგივე რომას, 45-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. ამის შესახებ წერს „ბი-ბი-სის“ რუსულენოვანი გამოცემა**



**პროკურატურამ შულაია დაასახელა, როგორც „ნიუ-იორკში აღმოსავლეთ ევროპის ქურდული სამყაროს ბოსი“ და ასევე მისი გავლენები ვრცელდებოდა აშშ-ის დასავლეთ სანაპიროზე. პროკურატურა მისთვის 65-წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვდა.**

**სასამართლოს ზედამხედველობის ორგანო, რომელიც რეკომენდაციას აძლევს მოსამართლეს, შულაიას სამუდამო პატიმრობას ითხოვდა.**

**მოსამართლე ლორეტა პრესკა სოლიდარული იყო ამ რეკომენდაციებისადმი, რადგან შულაია თავს დამნაშავედ არ გრძნობდა. ამიტომ ერთადერთი გამოსავალი იყო მისი საზოგადოებისგან, რაც შეიძლება დიდი ხნით იზოლირება. მოსამართლემ 45 წელი შეუფარდა ბრალდებულს, საიდანაც ციხეში კარგად მოქცევისთვის შესაძლებელია, სასჯელის 15% მოეხსნას. ასე, რომ შულაია გათავისუფლდება 70 წლის ასაკში და დეპორტირებული იქნება რუსეთში, რომელიც მან 2010 წელს დატოვა.**

**შუალაიას ნაცნობი „ბი-ბი-სის“ ჟურნალისტს მოუყვა, რომ ის რუსეთიდან სასჯელის არიდების მიზნით გაიქცა. მან შემდეგი სამი წელი ევროპაში გაატარა, კერძოდ, გერმანიაში და შემდეგ იტალიაში, სადაც მოხდა მისი „კორონაცია და კანონიერი ქურდის სტატუსი მიიღო“. სასამართლომ შულაიას ასევე 2,2 მლნ დოლარის გადახდა დააკისრა და დაავალა კომპენსაციის სახით 550 000 დოლარის გადახდა ამერიკელი შშმ პირისთვის, რომელიც გაქურდა მისმა მეგობარმა ნაზო გაფრინდაშვილმა მისი დაჯგუფებიდან.**

**სასამართლომ ბიუჯეტის სასარგებლოდ შულაიას 2.2 მილიონი დოლარი დააკისრა. შულაიას, ასევე, დაეკისრა, კომპენსაციის სახით 550 000 მილიონი დოლარის გადახდა ინლაიდისთვის, რომელიც შულაიას დაჯგუფების წევრმა ნაზო გაფრინდაშვილმა გაქურდა. ნაზო გაფრინდაშვილი მომვლელად სწორედ ამ პირთან მუშაობდა.**

# ზუგდიდში თხილის ქარხანა დააყაჩაღეს

**ზუგდიდში, ფაიფურის დასახლებაში თხილის ქარხანა „თურალ გრუპი“ დააყაჩაღეს.** წაღებულია 50 ათასი ლარი და ნაცემია ერთ-ერთი თანამშრომელი. როგორც ქარხნის მენეჯერი აცხადებს, სამი ნიღბიანი პირი შენობაში იარაღის მუქარით შეიჭრა.

**„მოულოდნელად შემოვარდნენ ყვირილით, ძირს დააწვინეს ერთ-ერთი თანამშრომელი და იარაღი ჩაარტყეს თავში. ის ახლა საავადმყოფოშია გადაყვანილი“,** — აცხადებს მაია მიქავა.

# ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის – 10 წლით პატიმრობა

**თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არაერთგზის ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის ბრალდებული ვ.ჯ. დამნაშავედ ცნო.**

პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2018 წლის 31 მარტს, ქ.თბილისში, განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევმა ვ.ჯ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე კ.ჭ.-ს სახის არეში სამართებლით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, რამაც დაზარალებულის სახის წარუშლელი დამახინჯება გამოიწვია.

**„სამართალდამცავებმა ვ.ჯ. 2018 წლის 1 აპრილს დააკავეს. მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.**

**თბილისის საქალაქო სასამართლომ ვ.ჯ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“,** — აღნიშნავენ პროკურატურაში.

# ფულის გამოძალვის ფაქტზე სამცხეში 1 პირი დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბიზნესმენისთვის დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის ფაქტზე, 1961 წელს დაბადებული ვ.კ. ვალეში დააკავეს.**

ჩადენილი დანაშაული 4-იდან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ვ.კ. ახალციხეში ბიზნესმენ მ.მ.-ს უგზავნიდა მუქარის შემცველ წერილებს და მისგან ცდილობდა 50 000 ლარის გამოძალვას. დაკავებული წარსულში ბიზნესმენთან მძღოლად მუშაობდა, ფლობდა ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაციას და ბიზნესმენს ახლობლების სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა.



# ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი №1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.<br>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.<br>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.<br>თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>ი) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითები. |
| | | ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული ინერტული მასალა გაიტანოს არა სოფლის გზით, არამედ ალტერნატიული გზით. მდინარის ადიდების შემთხვევაში კი დაიცვას ნაპირები ჩარეცხვისგან რათა ზიანი არ მიაყენოს სათევზე ტბორებს და ახლომდებარე საძოვრებს.<br>მ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და ,,წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დაბა ჩხოროწყუს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 22 230 $მ^{3}$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | დაბა ჩხოროწყუს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 18 070 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 807 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 007 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 24 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 22 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 22 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 22 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №2 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ე) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;<br>ვ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;<br>ზ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა (იქ სადაც ფიქსირდება) და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>თ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო |
| | | ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>კ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. სამების (გუნია-კალა) მიმდებარე ტერიტორია, „გუნია-კალას“ ვულკანური წიდის გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 20 100 $მ^{3}$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. სამების (გუნია-კალა) მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 773 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 377.3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 087 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 24 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 22 იანვარს დღის 18:00 საათზე |

| | | |
|---|---|---|
| | დრო და თარიღი | |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 22 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 22 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №3** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ე) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;<br>ვ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;<br>ზ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა (იქ, სადაც ფიქსირდება) და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>თ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში |
| | | ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>კ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. სამების (გუნია-კალა) მიმდებარე ტერიტორია, „გუნია-კალას" ვულკანური წიდის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 23 750 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. სამების (გუნია-კალა) მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 458 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 445.8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 429 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 24 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 22 |

| | | |
|---|---|---|
| | დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 22 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 22 იანვარს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
